დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 6-7 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

28.11.2024

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:	ევგენია ბუსმაჩიუ, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო / ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვას რესპუბლიკა
წევრები:	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრები:	ეკატერინე ნაცვლიშვილი, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრები:	სანდრო ტაბატაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრები:	მარიამ ბურმისტროვა, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება	სამაგისტრო პროგრამა: საჯარო მმართველობა
უმაღლესი განათლების საფეხური	მე - 6 დონე	მე - 7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	საჯარო მმართველობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება		
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული / პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	04.04.2019, N93, ვადის გასვლის თარიღი 04.04.2023	03.08.2017, N52 03.08.2024

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ქართულენოვანი)
- სამაგისტრო პროგრამა: საჯარო მმართველობა (ქართულენოვანი)

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შესაფასებლად წარდგენილი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ბიზნესის, კომპიუტინგის და სოციალური მეცნიერებების სკოლაში. პროგრამა ამოქმედდა 2019 წელს და 2022 წლიდან იმყოფება რეაკრედიტაციის რეჟიმში. პროგრამა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებს. პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების აღზრდა, მათთვის საჭირო ცოდნის და უნარების გადაცემა, ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკის და ლიდერობის უნარების გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ და სამართლის მეცნიერებათა სკოლაში 2017 წლიდან ხორციელდება "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №52 გადაწყვეტილებით აღნიშნულ პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭებული აქვს აკრედიტაცია.

კრედიტების მოცულობა და განაწილება შემდეგია:

- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი).
- "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი).

ორივე პროგრამის საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტის შენობებში მისამართზე: ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა, თბილისი, 0179, საქართველო. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ბიზნესის, კომპიუტინგის და სოციალური მეცნიერებების სკოლის მიერ, ხოლო "საჯარო

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა ჰუმანიტარულ და სამართლის მეცნიერებათა სკოლის მიერ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გამართეს სამუშაო შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების მისიის და მიზნების განსახილველად.

ჯგუფის წევრებს მიეცათ წვდომა OneDrive - ის საცავზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. OneDrive - ზე ხელმისაწვდომი მასალები მოიცავდა თვითშეფასების ანგარიშს და დამატებით დოკუმენტაციას როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში განხორციელდა 2024 წლის 6 - 7 სექტემბერს, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის განმავლობაში, ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, ორივე პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ვიზიტის განმავლობაში, ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ ეტაპობრივად წარმოადგინა გასაუბრებების დროს.

ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის რესურსები, მათ შორის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და აუდიტორიები. მეორე დღის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წინასწარი მიგნებების განსახილველად, რამაც ხელი შეუწყო თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას.

ექსპერტთა ჯგუფი გამოხატავს მადლიერებას უნივერსიტეტის სამსახურების მიმართ ეფექტური კომუნიკაციის, თანამშრომლობის და პროფესიონალიზმისთვის, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებულ გასაუბრებებში აქტიური მონაწილეობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, 180 კრედიტი

- სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 კრედიტი

- სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  კლასტერის

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები სანდოობის და შეფასების თვალსაზრისით, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების და საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იმისათვის, რომ მოხდეს შესაბამისი ხარისხის მისაღებად საჭირო მინიმალური კომპეტენციების დაფარვა. (1.2)
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები სტრუქტურის ოპტიმიზაციის და შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით. (1.4)
3. რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი შესაბამისობა სასწავლო კურსების შინაარსთან და სირთულესთან. (1.5)
4. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების შეფასების მეთოდოლოგია. (1.5)

5. რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა მხარე (პროფესორები, ხელმძღვანელები, მაგისტრანტები სტუდენტი/
5. კურსდამთავრებული) კარგად იცნობდეს სამეცნიერო კვლევის კომპონენტის შეფასების პროცედურასა და კრიტერიუმებს, რათა დაზუსტდეს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ასპექტის შეფასებაზე ხელმძღვანელი, რეცენზენტი ან კომისიის წევრები . (3.1)
6. რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეაფასონ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელება და მათი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობა. (3.2)
7. რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. (5.1)
8. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე ციკლში საფუძვლიანად და პერიოდულად ხორციელდებოდეს შემოწმების და მოქმედების კომპონენტები. (5.1)
9. რეკომენდებულია, შემუშავდეს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის და შეფასების შიდა ხარისხის მექანიზმები. (5.1)
10. რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელების და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. (5.3)
11. რეკომენდებულია, სანგუ - მ შეიმუშაოს მკაფიო და გამჭვირვალე გეგმა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმართვისთვის, როდესაც ისინი გადავლენ 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან 180 კრედიტიან პროგრამებზე. (5.3)
12. რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მიზნით ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, პერიოდული შეფასებების და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. (5.3)

რეკომენდაციები "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

13. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების შემცირების და სპეციალობის სავალდებულო კურსების კრედიტების გაზრდის თვალსაზრისით (1.4).
14. რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შინაარსს დაემატოს შემდეგი საკითხები / თემები / კურსები: სამეწარმეო საქმიანობა

და ინოვაციების მენეჯმენტი; ოპერაციების და ხარისხის მენეჯმენტი; ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა, პროექტების მართვა; ცვლილებების მენეჯმენტი; ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა (1.4).

15. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით სწავლის შედეგების გაზომვის და მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით (1.5).
16. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული სავალდებულო კურსის როლი და ინტენსივობა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და გასაზომად. (1.5)

რეკომენდაციები "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

17. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, იმისთვის რომ გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ინსტრუმენტები და შემუშავდეს ვალიდური რუბრიკები სწავლის შედეგების გაზომვის და მიღწევის უზრუნველყოფისთვის. (1.5)
18. რეკომენდებულია, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის შინაარსის გამდიდრება იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ რეკომენდებულ ძირითად საკითხებს, კურსდამთავრებულთა კომპეტენციების განვითარების მიზნით ისეთ სპეციფიკურ სფეროებში, როგორიცაა: სახელმწიფო შესყიდვების მართვა, პროგრამების ან / და პროექტების მართვა საჯარო / სამოქალაქო სექტორში; ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურის ორგანიზაციებში; ადმინისტრაციული ლიდერობა, ორგანიზაციული განვითარება ან / და ცვლილებების მართვა საჯარო ადმინისტრირებაში; ადგილობრივი / მუნიციპალური / რეგიონული / სახელმწიფო განვითარების დაგეგმვა და მართვა (ორგანიზაციული, სტრატეგიული, სოციალურ-ეკონომიკური). (1.5)

- **რჩევები კლასტერის**

1. სასურველია, რომ გადაიხედოს და განახლდეს პრაქტიკულ სწავლებასთან დაკავშირებული მიზნები და მიეთითოს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების კონკურენტული უპირატესობები (1.1).

2. სასურველია, შეფასების პორცესის გამჭვირვალობის და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყოვლისმომცველი ჩარჩო. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და ზუსტ გაზომვას, რაც უზრუნველყოფს ორივე პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას. (1.3)
3. სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამებში გაფართოვდეს არჩევითი საგნები, იმისათვის, რომ სტუდენტებს მიეწოდოთ უფრო სპეციალიზებული ცოდნა და უნარები, რომლებიც მორგებულია ინდუსტრიის / სექტორის მზარდ საჭიროებებზე. (1.4)
4. სასურველია, გადაიხედოს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების კურსები, შინაარსის / თემების და ლიტერატურის განახლების თვალსაზრისით, ინდუსტრიის და სასწავლო საგნების სფეროების თანამედროვე ტენდენციების და საკითხების შესაბამისად. (1.5)
5. სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა რეალურ და საბანკო სექტორთან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დონეზე სტუდენტებისთვის სტაჟირების შეთავაზების და მოთხოვნის გამრავალფეროვნების მიზნით. (2.2)
6. სასურველია, ლექტორებმა ეფექტურად გამოიყენონ და განახორციელონ სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, სწავლის მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო დაწესებულება აღნიშნული მიზნის მხარდასაჭერად ჩაერთოს შესაბამის აქტივობებში. (2.3)
7. სასურველია, სილაბუსებში უფრო დეტალურად აღიწეროს გამოყენებული სწავლების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები ან რუბრიკები. (2.3)
8. სასურველია, სანგუ - მ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკის ყოვლისმომცველი დოკუმენტი. (5.1)
9. სასურველია, სანგუ - მ გააძლიეროს თავისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამატებითი ადამიანური რესურსებით დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე ციკლის დროულად დასასრულებლად. (5.1)
10. სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასების პროცესი იყოს უფრო სისტემური და რეგულარული და პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყვნენ მის დაგეგმვაში. (5.2)
11. სასურველია, სანგუ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება მოიცავდეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს. (5.3)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

12. სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის განახლება თანამედროვე ბიზნესის უფრო აქტუალური საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა ანალიტიკა, სტრატეგიული ინოვაცია და ა.შ. (1.4)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

  - სტუდენტებისადმი და სწავლის შედეგებისადმი ინდივიდუალური მიდგომა;
  - საგანმანათლებლო პროცესისთვის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა;
  - შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან კარგი თანამშრომლობა;
  - დაწესებულების კარგი კორპორაციული მართვა;
  - ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები;
  - უნივერსიტეტის მდგრადობა.

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ამ მიმოხილვის საფუძველზე, არსებული რეკომენდაციები და რჩევები ექსპერტთა ჯგუფმა დატოვა უცვლელი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს წინა აკრედიტაციის პროგრესის და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მიღწევები შეჯამებულია თვითშეფასების ანგარიშში.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: <u>საჭიროების შემთხვევაში</u>** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება სანგუ - ს მისიის მიზნებს. პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც ორიენტირებულია პრიორიტეტული საგანმანათლებლო სფეროების გამოვლენაზე, შინაარსის განვითარებაზე და სტრუქტურულ გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ პროგრამის მიზნები მიიღწევა კარგი და თანამედროვე ინფრასტრუქტურით, გამოცდილი და პროფესიონალი აკადემიური პერსონალით და პროგრამების მიზნებს და შედეგებს შორის მკაფიო კავშირით. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულმა პროგრამებმა

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შრომის ბაზრის განვითარებაში და სპეციალისტების დარგობრივ საქმიანობაში ჩართვაში. გასაუბრებების დროს უნივერსიტეტის პერსონალმა ორივე პროგრამის ღირებულებების და მიზნების მიმართ გამოავლინეს ღრმა გაგება და ენთუზიაზმი, ხაზი გაუსვეს კავშირს სტრატეგიულ მიზნებს და საგანმანათლებლო პროგრამების მოსალოდნელ შედეგებს შორის. შრომის ბაზრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ დისკუსიებში, რომლებიც ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ შრომის ბაზრის კვლევის ჩატარების საჭიროებას, ასევე ბიზნეს სექტორთან ეფექტური თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობას. აღნიშნული პარტნიორობა მიზნად ისახავს კერძო საწარმოებისთვის, საჯარო ხელისუფლებისთვის და დაწესებულებებისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შეთავაზებას.
დამსაქმებლებმა მადლიერება გამოხატეს უნივერსიტეტის მიერ ორივე პროგრამასთან დაკავშირებით განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშის მიმართ.

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამები ითვალისწინებენ პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის კენტუკის უნივერსიტეტის, აშშ, საუკეთესო პრაქტიკას. ისინი მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, რომლებიც უკავშირდება სწავლებას, სასწავლო რესურსებს და მეთოდოლოგიებს. სანგუ თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორებთან ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში. აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო ტრენინგ პროგრამებში, ვებინარებში, ლექციებში, კონფერენციებში და კვლევით საქმიანობაში, რომლებიც ორიენტირებულია საჯარო მმართველობაზე და ბიზნესზე.

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს საერთაშორისო გამოქვეყნებებს და სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უზრუნველყოფს ფინანსური მხარდაჭერით. უნივერსიტეტი მასპინძლობს საჯარო ლექციების სერიას ევროპული ინტეგრაციის შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს, სხვა ქვეყნების და საერთაშორისო დაწესებულებების პროფესორები. ინფორმაცია საჯარო ლექციების შესახებ ქვეყნდება სანგუ - ს ვებგვერდზე. საქართველოს სავაჭრო პალატა ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას და შესაძლებლობების განვითარებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ხაზი გაუსვა საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოების, პარტნიორობის და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობის ვალდებულებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეასრულონ დაწესებულების მიზნები აღნიშნულ სფეროში.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურად არის დაკავშირებული, შეესაბამება სწავლის სფეროს და საქართველოს სამართლებრივ და სტრატეგიულ ჩარჩოს. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის მოთხოვნებს. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამები გამჭვირვალეა და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, რაც მათ ხდის საჯაროს და ხელმისაწვდომს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პოტენციური სტუდენტებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მიღწევადია, სწავლების სფეროს, დონის და საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სანგუ - ს მისიას და ორიენტირებულია აღჭურვოს სტუდენტები ეფექტური პროფესიული კარიერის განვითარებისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებით და ღირებულებებით. პროგრამის მთავარი მიზანია ბიზნეს გარემოსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის მიზნები განსაზღვრულია როგორც რეალისტური და მიღწევადი, რომლებიც ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო დონის განათლების სპეციფიკურ მოთხოვნებს. მიზნები ასახავენ შრომის ბაზრის (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო) ზოგად მოთხოვნებს და ითვალისწინებენ თანამედროვე ბიზნეს გარემოში ტრანსფერული უნარების და ადაპტირების საჭიროებას. გარდა ამისა, პროგრამის მიზნების გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა კიდევ უფრო დემოსტრირებს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კარგად მომზადებას ბიზნეს სექტორში მენეჯერული საქმიანობისთვის და ფუნქციებისთვის. პროგრამის დოკუმენტაცია, მათ შორის თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერილობა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი ადასტურებს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობას. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ზოგადად და მკაფიოდ არ მიუთითებს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის ძირითად კონკურენტულ უპირატესობაზე. შესაბამისად, სასურველია შემუშავდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის კონკურენტული უპირატესობის მითითების მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 საფეხური

ზოგადად, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სანგუ - ს მისიას და ორიენტირებულია აღჭურვოს სტუდენტები ღრმა თეორიული ცოდნით და გადასცეს პრაქტიკული უნარები, რომლებიც აუცილებელია საჯარო მმართველობის ორგანოებში მმართველობითი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, საბაკალავრო დონეზე მიღებული ცოდნის საფუძველზე. პროგრამის სასწავლო გეგმა სტუდენტებში ავითარებს გადაწყვეტილების მიღების და პრობლემის გადაჭრის კომპეტენციებს, რომელიც მიიღწევა ისეთი უნარების საფუძველზე, როგორიცაა თვითსწავლა (ცოდნის დამოუკიდებლად განახლება), გუნდური მუშაობა, ინტერდისციპლინური აზროვნება და კომუნიკაციის უნარები. პრაქტიკაზე ორიენტირებულმა სწავლებამ სტუდენტს უნდა მისცეს საშუალება გამოიყენოს სამეცნიერო რეფლექსია, კვლევის მეთოდოლოგიები და თეორიულად ინფორმირებული დისკუსიის კომპეტენციები იმისათვის, რომ გარდაქმნას თეორიული ცოდნა პრაქტიკულ უნარებად გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ სამუშაო გარემოში. შესაბამისად, პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი ექვსი მიზანი: (1) მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე საჯარო მმართველობის მოდელების, გამოწვევებისა და განვითარების ტენდენციების შესახებ; გააცნოს საჯარო მმართველობის ევროპეიზაციის პროცესი; (2) სტუდენტმა უნდა განივითაროს სამართლებრივი ინსტრუმენტების და საინფორმაციო, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების უნარები საჯარო სექტორში საჯარო მმართველობის ორგანიზების და გადაწყვეტილების მიღებისთვის; (3) სტუდენტმა უნდა განივითაროს საჯარო მმართველობის პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინირების უნარი სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალურ - პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით; (4) განუვითაროს სტუდენტს ღია მმართველობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების პრინციპების და ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების განხორციელების უნარი საჯარო მმართველობის მოთხოვნების შესაბამისად; (5) სტუდენტმა უნდა შეიძინოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი კვლევის შედეგების წარდგენის უნარი; (6) განუვითაროს სტუდენტს აკადემიური კეთილსინდისიერების წესების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების აღიარების და პატივისცემის უნარი. მიზნები შეესაბამება SMART - (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური, დროში განსაზღვრული) კრიტერიუმებს.

"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის მიზნები ასევე განსაზღვრულია როგორც რეალისტური და მიღწევადი, რომლებიც ასახავს საჯარო მმართველობაში სამაგისტრო დონის განათლების სპეციფიკურ მოთხოვნებს. ზოგადად, მიზნები ასახავს შრომის ბაზრის ზოგად მოთხოვნებს (უფრო მეტად ადგილობრივს) და ითვალისწინებენ ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნებისა და კვლევითი უნარების საჭიროებებს. გარდა ამისა, თვალსაჩინოა აღნიშნული მიზნების

შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ხოლო მიზნების გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა კიდევ უფრო ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მომზადებას სამუშაო დავალებებისთვის საჯარო სექტორში. პროგრამის დოკუმენტაცია, მათ შორის თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერილობა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი ადასტურებს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოდ არ მიუთითებს "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის ძირითად კონკურენტულ უპირატესობაზე. შესაბამისად, სასურველია შემუშავდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები იმისათვის, რომ მიეთითოს "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის კონკურენტული უპირატესობა და დეტალურად გამოვლინდეს ცოდნის, უნარების და კომპეტენციების ნაკრები, რომლებიც უნდა უზრუნველყონ კურსდამთავრებულებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- https://www.sangu.edu.ge/eng/home .

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ გადაიხედოს და განახლდეს პრაქტიკულ სწავლებასთან დაკავშირებული მიზნები და მიეთითოს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების კონკურენტული უპირატესობები (1.1).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება [6]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐

[6] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტაციის, უნივერსიტეტის თვითშეფასებისა და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ ორივე პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა კერძო და საჯარო სექტორის დამსაქმებლების და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულობით. აღნიშნული თანამშრომლობითი მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ შედეგები შეესაბამება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მოლოდინებს. გარდა ამისა, აღინიშნა სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. ორივე საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ძირითადად დემონსტრირებს თანმიმდევრულობას შინაარსის, სირთულის და კლასტერული პროგრამების მდგრადობის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, პროგრამის სწავლის შედეგები, ზოგადად, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. ისინი მეტწილად შეესაბამება კვალიფიკაციის სათანადო დონეს, დეტალური სფეროს აღმწერებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს. გარდა ამისა, აღნიშნული სწავლის შედეგები, ზოგადად, ეფუძნება ბიზნესის ადმინისტრირების და საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, რომლებიც შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად და გარკვეულწილად მოიცავს მათში მითითებულ ძირითად საკითხებს. კლასტერის ფარგლებში სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე აღნიშნული შედეგების თანმიმდევრულობა შინაარსის, კომპლექსურობის და სირთულის თვალსაზრისით ასახავს განვითარების პროცესს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის საგანმანათლებლო დონეებს, რითიც უზრუნველყოფილია სტუდენტების თანმიმდევრულ პროგრესი. პროგრამა შეესაბამება მისი კურსდამთავრებულების დასაქმების მოთხოვნებს და ხელს უწყობს მათ პროგრესს განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები აცნობენ სწავლის შედეგებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხის მქონე კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ ბიზნესის მართვის პრობლემების გადაჭრას, მიმდინარე მოვლენების გაანალიზებას, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას, ოპერაციული საქმიანობის მართვას და დარგის და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას. პროგრამა ორიენტირებულია თეორიული საფუძვლების, მენეჯმენტის, კომპანიის მართვის, ორგანიზაციული უნარების, გუნდური მუშაობის უნარების და ლიდერული თვისებების განვითარებაზე. კურსდამთავრებულების პრაქტიკული უნარების

განვითარება უზრუნველყოფილია პრაქტიკული კურსებით და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შემაჯამებელი საბაკალავრო ნაშრომით. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ მენეჯმენტის და ადმინისტრირების რელევანტური ფუნდამენტური კონცეფციების და მეთოდოლოგიების ყოვლისმომცველი გაგება. პროგრამა ხაზს უსვამს თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას, ორიენტირებულაი მონაცემთა შეგროვებაზე, ორგანიზებაზე და ანალიზზე, ასევე თანამედროვე ბიზნესის მენეჯმენტის თეორიებზე და მოდელებზე. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს კომუნიკაციისა და ლიდერობის უნარების გაძლიერებას კორპორაციულ მართვაზე და საქმიანობაზე გავლენის მქონე ფაქტორების შეფასებით, ბიზნეს რისკების გამოვლენით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულებს ექნებათ ბიზნესის მართვის პრინციპების, სტრატეგიული და რისკების მართვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესების და ანალიტიკური მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა, დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნართან და ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების ვალდებულებასთან ერთად.
პროგრამის სწავლის შედეგები ყოვლისმომცველია და მეტწილად შეესაბამება ბაკალავრის დონეზე მოსალოდნელ ცოდნას და უნარებს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა გადაიხედოს ზოგიერთი სწავლის შედეგი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს რეკომენდებული მინიმალური კომპეტენციები (განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში: მეწარმეობა და ინოვაციები; რესურსების და ოპერაციების მართვა; ხარისხის მართვა, პროექტების მართვა, ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა, მომხმარებელთა ქცევა; ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა და ა.შ.), რომლებიც აუცილებელია ბაკალავრის ხარისხის მისაღებად და მითითებულია ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ძალიან ზოგადად და მკაფიოდ არ აღწერს კონკრეტულ ცოდნას და უნარებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია სტუდენტებისგან პროგრამის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული აღნიშნული "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის ძირითადი უპირატესობები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე -7 საფეხური

"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია იმისათვის, რომ სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა საჯარო მმართველობის თანამედროვე თეორიების და გამოწვევების შესახებ, ეროვნული კვალიფიკაციების სტანდარტების შესაბამისად. პროგრამა ხაზს უსვამს რეალურ სიტუაციებში გამოყენებით და საჯარო მმართველობის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის გზით პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტებს ასწავლიან თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებას და მოსალოდნელია, რომ ისინი გამოიმუშავებენ სამართლებრივი ინსტრუმენტების და სხვადასხვა რესურსის გამოყენების უნარს, რაც აუცილებელია ეფექტური საჯარო მმართველობის და გადაწყვეტილების მიღებისთვის. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა მოიცავს საჯარო პოლიტიკის დაგეგმვას და კოორდინირებას სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ - პოლიტიკურ კონტექსტში, ამავდროულად ის ხელს უწყობს ღია მმართველობის და ანგარიშვალდებულების ხელშემწყობი სტრატეგიების განვითარებას. სწავლის შედეგები მეტწილად რელევანტურია და ძირითადად ხელს უწყობს საჯარო მმართველობის სფეროში კურსდამთავრებულების აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ძალიან ზოგადად და მკაფიოდ არ აღწერს კონკრეტულ ცოდნას და უნარებს, რომელსაც სტუდენტები გამოიმუშავებენ პროგრამის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის ძირითადი უპირატესობები. გარდა ამისა, ზოგიერთი სწავლის შედეგი არ არის მკაფიოდ გაზომვადი, რაც წარმოადგენს ეფექტური სწავლის შედეგების ძირითად მოთხოვნას. მაგალითად, ბუნდოვანია და რთულია ობიექტურად შეფასდეს სწავლის შედეგი: "განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიული

განვითარების საჭიროებებს პროფესიონალი საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების ნორმატიული საფუძვლების და საჯარო დაწესებულების სტრატეგიული მიდგომების საფუძველზე". სწავლის შედეგები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტის მიღწევების მკაფიო შეფასება და გაზომვა. აღნიშნული ნიშნავს, რომ უნდა გადაიხედოს სწავლის შედეგები ეფექტური და სანდო შეფასების თვალსაზრისით, ასევე დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით ("საჯარო მმართველობის" უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი), იმისათვის, რომ მოიცვას რეკომენდებული მინიმალური კომპეტენციები (განსაკუთრებით საჯარო მმართველობის პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის სფეროში; ელექტრონული მმართველობა: საჯარო სერვისების მიწოდება და ა.შ.), რომლებიც აუცილებელია მაგისტრის ხარისხის მისაღებად და მითითებულია საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები;
- სწავლის შედეგების საილუსტრაციო ცხრილი;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები სანდოობის და შეფასების თვალსაზრისით, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების და საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იმისათვის, რომ მოხდეს შესაბამისი ხარისხის მისაღებად საჭირო მინიმალური კომპეტენციების დაფარვა. (1.2)

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	**x**	☐	☐

პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	**x**	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჩამოყალიბებული კომიტეტი რეგულარულად ამოწმებს შესწავლილი პროგრამების სწავლის შედეგებს შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით, შიდა ნორმების და პროცესების შესაბამისად. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების მიზნები პირდაპირ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. გასაუბრებებისას გამოვლინდა, რომ გამოიყენება უნიკალური შეფასების მეთოდი, რომლის მიხედვითაც სტუდენტების დაახლოებით 70% - მა უნდა მიიღოს 80 ან მეტი ქულა. გამოყენებულია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. ბლუმის ტაქსონომიის განახლებული მიდგომა პირდაპირ აკავშირებს სწავლის შედეგებს სწავლის სფეროებთან. "ბიზნესის ადმინისტრირების" ხარისხის მიღების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ შეისწავლონ ბიზნეს გარემოს არსებული მდგომარეობა და გასცენ რეკომენდაციები ბიზნესის ეფექტურად წარმართვის თაობაზე. მათ ასევე შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენონ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აღწერილია სწავლის შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახური პირდაპირ არის პასუხისმგებელი სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოყენებულ ტექნიკაზე. სტუდენტებმა და პედაგოგებმა გამოხატეს ინტერესი შეფასების ანალიზის ანგარიშებში წარმოდგენილი მიგნებების მიმართ. ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახური კონსულტაციას უწევს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სწავლის შედეგების შეფასების სტრატეგიებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აღნიშნული ხელს უწყობს ამ შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარებას. შეფასების შედეგები განიხილება ფაკულტეტის დონეზე და ეცნობება ყველა რელევანტურ მხარეს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და განხორციელებული გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა შემდეგი: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას განისაზღვრება, თუ რამდენად მიაღწია სტუდენტმა ან / და კურსდამთავრებულმა დაგეგმილ სწავლის შედეგებს, რაც დგინდება შემდეგი საშუალებებით: ა) პროგრამის შესაბამის კომპონენტში შეფასების კონკრეტული მეთოდით; ბ) კურსდამთავრებულთა თვითშეფასებით (როგორ შეაფასებენ ისინი მათ მიერ მიღწეულ შედეგებს); გ) დამსაქმებლების მიერ კურსდამთავრებულების უნარების შეფასებით; დ) კურსდამთავრებულთა საშუალო ქულის (GPA) მიხედვით; ე) საბაკალავრო / სამაგისტრო ნაშრომების საბოლოო შეფასებების ანალიზით; ვ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებით. პირდაპირი შეფასების მეთოდების სამიზნე ნიშნულებია: სასწავლო კომპონენტში სტუდენტების მინიმუმ 70% - მა უნდა მიიღოს 80 ან მეტი ქულა, 51 - 79 ქულა უნდა მიიღოს 28% - მა

და 0 - 50 ქულა უნდა მიიღოს 2% -მა. შეფასება განხორციელდება სასწავლო კომპონენტის საფუძველზე მე-6 სემესტრის დასრულების შემდეგ. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში საგანმანათლებლო კომპონენტების შეფასება განხორციელდება მე-6 სემესტრის დასრულების შემდეგ, ხოლო "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში მე-4 სემესტრის დასრულების შემდეგ. არაპირდაპირი შეფასების მეთოდების სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა შემდეგი: თვითშეფასებისას კურსდამთავრებული აფასებს საკუთარ თავს სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. აღნიშნულ შემთხვევაში სამიზნე ნიშნულები შემდეგია: სტუდენტების მინიმუმ 70% - მა უნდა მიიღოს 80 ან მეტი ქულა, 51 - 79 ქულა უნდა მიიღოს 28% - მა და 0 - 50 ქულა უნდა მიიღოს 2% - მა. დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასებისას დამსაქმებელი აფასებს, თუ რამდენად მიაღწია კურსდამთავრებულმა ამა თუ იმ სწავლის შედეგს. აღნიშნულ შემთხვევაში სამიზნე ნიშნული შემდეგია: დამსაქმებელების მინიმუმ 70% - მა უნდა შეაფასოს შედეგი 80 ან მეტი ქულით, 51 - 79 ქულა - 28%-მა, 0 - 50 ქულა - 2%-მა.

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტების და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ზოგადად, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების შეფასების მექანიზმები დემონსტრირებს სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებულ მიდგომას.

თუმცა, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს 1.3 კომპონენტთან სრული შესაბამისობა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამებში სათანადოდ არის გამოყენებული როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, რომელთაგან უკანასკნელი მოიცავს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს კითხვარების მეშვეობით (რაც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ), ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა გასაუბრებებმა ვერ გამოავლინა მკაფიო კონკრეტული მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული უკუკავშირის გათვალისწინება პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ამავე დროს, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ეცნობება ყველა დაინტერესებულ მხარეს და ყველა მოწვეული პედაგოგი გადის მომზადებას პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენების შესახებ. მკაფიო იყო დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და პროფესიული ასოციაციების როლი და პასუხისმგებლობები შეფასების პროცესში და მათ მიერ უზრუნველყოფილი იყო სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში და გამოკითხვებში მონაწილეობა და წვლილის შეტანა. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული დაადასტურა ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებისას, რაც საჭიროებს ყურადღებით შესწავლას. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის გამჭვირვალობის და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რამაც უნდა უზრუნველყოს, რომ სწავლის შედეგები იზომება თანმიმდევრულად და ზუსტად, რაც ხელს შეუწყობს ორივე პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, შეფასების პორცესის გამჭვირვალობის და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყოვლისმომცველი ჩარჩო. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და ზუსტ გაზომვას, რაც უზრუნველყოფს ორივე პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას. (1.3)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ბიზნეს ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და გაძლიერება განხორციელდა როგორც დაინტერესებული მხარეების გამოხმაურებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან და უნივერსიტეტში არსებულ ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებთან შესაბამისობით. გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდა ეროვნული საკანონმდებლო ბაზის და უნივერსიტეტში შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
სასწავლო პროგრამები შექმნილია ძირითადად ეროვნული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამეცნიერო და სასწავლო პერსონალის გამოცდილების გამოყენებით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა პროექტსა და მობილობაში. ეს თანამშრომლობითი გამოცდილება, მიღებული როგორც შიდა, ასევე პარტნიორი ინსტიტუტებიდან, უზრუნველყოფს პროგრამების განვითარებას. გარდა ამისა, სასწავლო გეგმები შედარებულია სხვა უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებთან, რომლებიც გვთავაზობს შესადარებელ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს თავსებადობას და ხელს უწყობს აკადემიური მობილობის შესაძლებლობებს. ორივე პროგრამა ზოგადად შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. პროგრამები შემუშავებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით, შესაბამისი კრედიტების განაწილებითა და ხანგრძლივობით. ორივე პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტთა ნაზავს, რაც გარკვეულწილად პერსონალიზაციის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ისინი მეტწილად შეესაბამება ბიზნესისა და საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დაგრობრივი მახასიათებლის დოკუმენტებს. თუმცა, პროგრამების სტრუქტურა საჭიროებს გადახედვას განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე

ბიზნესისა ანალიზი - პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბშეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს და ხორციელდება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემისის ხორციელდება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული მება საქართველოს საკანონმდებლო მოთ დონეებულო და არჩევით კომპონენტთა ნაზავს, რებზე, 95 ECTS კრედიტი სპეციალობის სავალდებულო ორციელდება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული მება საქა განსაზღვრულია სპეციალობის არჩევით სპეციაზე და ასევე 40 ECTS ე.წ. თავისუფალი კრედიტიალი 0 ECTS ითბა კრედიტების დსაშუალებას 180-მდეუშეივსოს კრედიტები დამატებითიედიტები ითბა არჩევითი კურსებითბიევითი კურსტები ითბა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულისავალდებულო და არჩევით კომპონენტებზე კრედიტებისო და არჩევით კო. სტრუქტურა დაკავშირებულია არჩევით კომპონენტებზეგროვებისა და პროგრამის 180 კრედიტიანი მოცულობა და სწავლების 3 აელი ლიავლებისილია არჩევით კომპონენტებზეგროვებისა და ტრანსფერის ევროპული მება საქართველოს საკანონმდებლო მოთ დონეებულ როგორც სწავლის ძირითად სფეროში ჩაღრმავების, ასევე სტუდენტებისთვის პერსონალიზებული სწავლის მოქნილობის საშუალებას იძლევა. ძირითადი სპეციალიზაციის კურსები ორიენტირებულია სტუდენტები ბაკალავრის ხარისხისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციებით აღჭურვოს. ამგვარად, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების, დარგის კონკრეტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის უზრუნველყოფაზე; დარგის რთული საკითხების გააზრების ხელშეწყობაზე; პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიკაციისა და გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე; მიღებული ცოდნის სტიმულირებით მუდმივი განახლების უნარზე; და პროფესიული მუშაობისთვის საჭირო ღირებულებების ფორმირებაზე. სპეციალობის მუშაობისთვის საჭირო ღირებულებების ფორმირებალი პრობლემების იდენტიფიკაციისა და გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაა ნაზავს,

რებზე, 95 ECTS კრედიტი ნალიზაციის საშუალებას იძლეწავლო გეგმებთან, რომლებიც გვთავაზობას, რაც უზრუნველყოფს ორივე ძლევს შესაძლებლობას შეიძინოს აკადემიურ გარემოში შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. გარდა ამისა, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისბის მუშაობისთვის საჭირო ღირებულებების ფორმირებალი პრობლემების იდ5 ECTS კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის დროს მიღებუული ფართო ცოდნის გაღრმავებაზე სტუდენტის ინტერესების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) შესაბამისი მიმართულებით. საბამისი მიმართულებით, მარკეტინგი)ბულებების ფორმირებალი პრობლემების იდენტიფიკაციისა და გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაა ნაზავს, რებზე, 95 ECTS კრედიტი ნალიზაციის საშუალებას იძლეწავლო გეგმებთან, რომლებიც გვთავაზობას, რაც უზრუნველსათანადოდ დამუშავება მიმართულებით, მარკეტინგი)ბულებების ფორმირებალი პრობლემების იდ5 ECTS კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის დროს მიღებუული ფართო ცოდნის გაღრმანოგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და მათი გაღრმავება უნდა მოხდეს კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში. რაც შეეხება სპეციალობის არჩევით საგანებსბმრაც შეადგენსბა მიმართულებით, მარკეტინგი)ბულებების ფორმირებალი პრობლემების იდ5 ECTS კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის დროს მიღებუული ფართო ცოდნის გაღსის შესაბამისად. დაბოლოს, რაცოლოს, ამისად. ულეთავისუფალ ავისუფალამისად. ულებით, მარკეტინგი)ბულებების ფორმირებალი პრობლემების ითავისუფალი კრედიტების სახით და სახით და საშუალებას აძლევს აირჩიოს ნებისმიერი კურსი თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარებისთვის. სავალდებულო კრედიტების მიღების შემდეგ, სტუდენტს შესაძლებლობაკრედიტებივსოსღების შემდეგ, ურსი თავისი პროფესიალობის არჩევითი კურსებით, თავისუფალი ავისუფალიჩევითი კურსებით, 80-მდე კრედიტი დამატებითი სპეციული თუ პირო. დ5 ECTS კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის დროს მიღებუული ფართო ცოდნის გაღრმანოგრამის სავალდებულო და არჩევითი კსაფაკულტეტო აფაკულტეტოევითი კურსებით, 80-მდე კრედიტი დამა მიმართულებით, იმართუთავისუფალი არჩევითი კომპონენტი (რჩევითი კომპონენტისებით, 80-მდე კრედიტი დამატებითი სპეციული თუ პირო. დ5 ECTS კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის დროს მიღებუულითვითშეფასებაზეითშეფოდებულ დოკუმენტაციაზე (კერძოდ, საბაკალავრო საბაკალავროენტაციაზე (კერძოდ,მდე კრედიტი დამატებითი სპეციული თუ პირო. დ5 ECTS კრედიტი) ო გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა ქსპერტთა ჯგუფმაყრდნობითერძოდ,მდე კრედიტი დამატებითი სპეციული თუ პირო. დ5 ECTS კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის დროს მიღებს. გარდა ამისა, საბაკალავრო აბაკალავრო,უფმაყრდნობითერძოდ,მდე კრედდ არ არის არ არისრრებული თუ ებული თურო,უფმაყრდნობითერძოდ,მდე კრედიტი დამატებითი სპეციული თუ პირო. დ5 ECTS კრედიტი) ორიეითი მოდულების ფარგლებში) ფინანსების, ისმოდულებისაისმოჯმენტის ფარგლებში) ფინანსდე კრედიტი დამატებითი სპეციული თუბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებლებში.

ჯგუფმა აღნიშნა, რომ იმ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რომელიც აკმაყოფილებს ბაკალავრის ხარისხის მინიჭების მინიმალურ მოთხოვნებს, პროგრამის სტრუქტურა უნდა გადაიხედოს თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებზე კრედიტების შემცირების და სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კრედიტების გაზრდის თვალსაზრისით. გარდა ამისა, პროგრამის შინაარსი უნდა გამდიდრდეს და დაიხვეწოს შემდეგი საკითხებით/თემებით/კურსებით: სამეწარმეო საქმიანობა, ინოვაციების მენეჯმენტი; ოპერაციების და ხარისხის მენეჯმენტი, ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა, პროექტების მართვა; ცვლილებების მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა და ა.შ., რომლებიც მითითებულია ზემოთხსენებულ მახასიათებელში.

გარდა ამისა, პროგრამა შეიცავს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. პერსონალის წარმომადგენლებმა აღნიშნეს თავიანთი გამოცდილება პარტნიორ უნივერსიტეტებთან სწავლების, სასწავლო პროგრამების შემუშავების, საერთაშორისო კვლევითი პროგრამებისა და თანამშრომლობის სფეროში. სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და გადასინჯვის პროცესი არის მკაფიო, გამჭვირვალე და მიმდინარეობს კონსულტაციები ყველა ჩართულ მხარესთან უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებისა და

მეთოდოლოგიის შესაბამისად. ის შეესაბამება ეროვნული სტრატეგიული პოლიტიკის მიზნებს და განვითარების გეგმებს შესაბამის სფეროში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე -7 საფეხური

„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა ორი წელი, მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც გამიზნულია სტუდენტების სრულყოფილი ცოდნითა და უნარებით აღჭურვაზე. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა ზოგადად შეესაბამება მის მიზნებს, შინაარსს და მოსალოდნელ შედეგებს, როგორც ეს განსაზღვრულია პროგრამის ფარგლებში. უნივერსიტეტი, მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა, რეგულარულ კონსულტაციებს უწევს საჯარო მმართველობის ორგანოებს, ბიზნეს სექტორს, აკადემიურ წრეებს და სტუდენტური ორგანოების წარმომადგენლებს სამაგისტრო პროგრამის დასახული მიზნებისა და შედეგების შესახებ. ამ დაინტერესებულ მხარეებთან და სტაჟირების პარტნიორებთან სასწავლო პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით კონსულტაციის პროცესი განხორციელდა კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდით, ერთობლივად ორგანიზებული ღონისძიებებით და ფორმალური თანამშრომლობის ხელშეკრულებებით. გარდა ამისა, გამოხმაურება შეგროვდა სტაჟირების და კითხვარების ადმინისტრირების გზით სტუდენტების პრაქტიკული უნარების შესაფასებლად და სამაგისტრო დისერტაციის შესრულებისას მონაწილეობითი ჩართულობით.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროგრამა შეიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, რომლებიც აერთიანებს საჯარო მმართველობის ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებს. სამივე მიმართულების სავალდებულო კურსები მოითხოვს 66 კრედიტს, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა უნდა გაიარონ აკადემიური წერის და სამეცნიერო კვლევის მეთოდების კურსი, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის დასასრულებლად საჭირო კომპეტენციების განვითარებას. სტუდენტებს არჩევითი კურსების ფარგლებში შეუძლიათ 24 კრედიტის შეგროვება. არჩევითი კურსები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას შექმნან საკუთარი პროფილი მათი ინტერესების შესაბამისად. არჩევითი სასწავლო კურსების სია მომზადებულია თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. სამაგისტრო პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს. უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ პრაქტიკას (10 კრედიტი) სახელმწიფო დაწესებულებებში, რისთვისაც უნივერსიტეტი აფორმებს შესაბამის მემორანდუმებს და ხელშეკრულებებს შესაბამის უწყებებთან. პრაქტიკის განხორციელება და განხორციელების შეფასება უზრუნველყოფილია წინასწარ შემუშავებული პრაქტიკის დებულებით. სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად სასწავლო პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტს (20 კრედიტი) სამაგისტრო ნაშრომის სახით. სტუდენტმა უნდა დაასრულოს ნაშრომი და წარუდგინოს კვლევის შედეგები აკადემიურ საზოგადოებას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა ორი სასწავლო წელი (4 სემესტრი) და მისი საერთო მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს.

თვითშეფასების, მოწოდებული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსი ძირითადად ფოკუსირებულია საჯარო მმართველობის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე, ვიდრე მენეჯმენტზე (კერძოდ, ისეთი საკითხები, როგორიცაა: სახელმწიფო შესყიდვების მენეჯმენტი; პროგრამები და/ან პროექტის მენეჯმენტი საჯარო/სამოქალაქო სექტორში; ადამიანური რესურების მართვა და ადმინისტრაციული ლიდერობა; ორგანიზაციული განვითარება და/ან ცვლილებების მართვა საჯარო მმართველობაში; ადგილობრივი/მუნიციპალური/ რეგიონული/სახელმწიფო სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა და მართვა და ა.შ.), რომლებიც განსაზღვრულია საჯარო მმართველობის დარგობრივ მახასიათებელში, როგორც ცოდნისა და უნარების განვითარების მნიშვნელოვანი სფერო საჯარო

მმართველობის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის. ეს ნიშნავს, რომ სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობაში უნდა დაიხვეწოს ამ სფეროების საკითხებით.
სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაჩინოა, რადგან მოწვეული პროფესორები ასწავლიან უცხო ენაზე, ყველა დაინტერესებული მხარე მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, ხდება გამოცდილების გაცვლა, მობილობის შესაძლებლობები და თანამშრომლობითი აქტივობები. სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესი მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამჭვირვალედ მიმდინარეობს. გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ სასწავლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია ჩამოყალიბებულია და ეფექტურად მუშაობს. უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალიზებულ მიდგომას მის პროგრამებში ჩარიცხული სტუდენტების მიმართ, რაც მიზნად ისახავს განიხილოს საჯარო მმართველობის სფეროში საჭირო მკაფიო პროფესიული კომპეტენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერა;
- საბაკალავრო პროგრამის აღწერა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები სტრუქტურის ოპტიმიზაციის და შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით. (1.4)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამებში გაფართოვდეს არჩევითი საგნები, იმისათვის, რომ სტუდენტებს მიეწოდოთ უფრო სპეციალიზებული ცოდნა და უნარები, რომლებიც მორგებულია ინდუსტრიის / სექტორის მზარდ საჭიროებებზე. (1.4)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების შემცირების და სპეციალობის სავალდებულო კურსების კრედიტების გაზრდის თვალსაზრისით (1.4).
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შინაარსს დაემატოს შემდეგი საკითხები / თემები / კურსები: სამეწარმეო საქმიანობა და ინოვაციების მენეჯმენტი; ოპერაციების და ხარისხის მენეჯმენტი; ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა, პროექტების მართვა; ცვლილებების მენეჯმენტი; ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა (1.4)

რჩევები:

- სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის განახლება თანამედროვე ბიზნესის უფრო აქტუალური საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა ანალიტიკა, სტრატეგიული ინოვაცია და ა.შ. (1.4)

პროგრამა 2 (საჯარო მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	x	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	x	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განხორციელდა კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, და ძირითადი აქცენტი გაკეთდა სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და კრედიტების განაწილების შესაბამისობაზე. კურსების შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგად მოთხოვნებს, მათ შორის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას.

თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება როგორც პროგრამის საერთო მიზნებს, ისე თითოეული საგნის კონკრეტულ შედეგებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მიზნების სრულად მიღწევას. ამ კურსების სილაბუსებში შედის სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგებისა და კურსის შინაარსის აღწერა, რაც უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნების ეფექტურ მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შემუშავებულია იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს მის მიერ დასახულ სწავლის შედეგებს, კურსის მიზნები და შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ინტეგრირებული პროგრამის საერთო სწავლის შედეგებში. კურსების თითოეული სწავლის შედეგი ეფექტურად ფასდება.

კურსის კრედიტების განსაზღვრასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია შემდეგი: პროგრამების მიმოხილვამ აჩვენა, რომ საბაკალავრო პროგრამის თითქმის ყველა კურსს მინიჭებული აქვს 5 ECTS კრედიტი; სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში კი თითქმის ყველა კურსი 6 ECTS კრედიტიანია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მტკიცებით, კრედიტების განაწილება ეფუძნება სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებსა და კურსის სირთულეს, თუმცა აღნიშნულის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი დასაბუთება. უფრო მეტიც, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, ჯგუფმა აღნიშნა, რომ კრედიტების მოცულობა "მექანიკურად" იქნა განსაზღვრული, რა დროსაც არ იქნა გათვალისწინებული კურსის სპეციფიკა, არ მომხდარა მისი განხილვა და გაანალიზება. ჯგუფის გადაწყვეტილებით, თითოეული კურსისთვის მინიჭებული ECTS კრედიტების რაოდენობა უნდა ანგარიშდებოდეს სტუდენტის სასწავლო დატვირთვისა და სასწავლო მასალის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს, რომ კრედიტების განაწილება შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სწავლებას შორის ბალანსი შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, და ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას.

რაც შეეხება, საგანმანათლებლო კურსის სილაბუსებში გამოყენებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: კურსის სილაბუსები მიუთითებს, რომ ყველა სასწავლო შედეგი ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებას, რომელიც ადგენს შეფასების მეთოდებს. გარდა ამისა, სილაბუსებში ასევე განსაზღვრულია თითოეული კურსის სწავლების და სწავლის მეთოდები, რომლებიც შერჩეულია კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. თითოეული კურსის შინაარსი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის საერთო კომპეტენციებს; შესაბამისად, სილაბუსები უზრუნველყოფს იმას, რომ ეს კურსები ერთობლივად ავითარებდეს განსაზღვრულ ცოდნასა და უნარებს, ასევე ქმნიდეს ყოვლისმომცველ საგანმანათლებლო გამოცდილებას. სილაბუსების დეტალურმა მიმოხილვამ (როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა) აჩვენა, რომ უმეტეს კურსებში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები და ინსტრუმენტები. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ნაკლებად ეფექტურია კურსის სწავლის შედეგების

მისაღწევად და კურსებისა და/ ან პროგრამის კომპეტენციების შესაფასებლად. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პედაგოგები იყენებენ უფრო შესაბამის და ვალიდურ სწავლების მეთოდებს ან შეფასების ინსტრუმენტებს სტუდენტთა მიღწევების გაზომვისა და შეფასებისათვის, მაგრამ გამოყენებული მეთოდები არ არის აღწერილი სილაბუსებსა და პროგრამებში. ჯგუფის გადაწყვეტილებით, სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი სწავლება-შეფასების პროცესში გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტები.

რაც შეეხება საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის რუკებს, უნდა აღინიშნოს, რომ მათში ზოგადად ასახულია, როგორ ხდება ცალკეული კურსების სასწავლო შედეგების მიერ უფრო ფართო პროგრამული მიზნების მიღწევა. თუმცა, არ არის მკაფიოდ დასაბუთებული, თუ როგორაა შესაძლებელი პროგრამის სწავლის შედეგებად განსაზღვრული ცოდნისა და უნარების გაღრმავება და/ ან დაუფლება შესავალი კურსების საშუალებით.

სასწავლო მასალებთან დაკავშირებით, სილაბუსებში ჩამოთვლილია სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები, რომლებიც ზოგადად ხელს უწყობს კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უმეტეს შემთხვევაში, ეს მასალები შესაბამისობაშია დარგის მიმდინარე მიღწევებთან და ძირითადად მოიცავს ახალ კვლევებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების რელევანტურობასა და ეფექტურობას პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაში.

პროგამების მუდმივი გაუმჯობესება ხდება მათი განახლებით სტუდენტების უკუკავშირისა და შეფასებების საფუძველზეს. ილაბუსებში პერიოდულად ახლდება ლიტერატურა, იხვეწება შეფასების კრიტერიუმები და უმჯობესდება სწავლების მეთოდები. სტუდენტებს აცნობენ ამ ცვლილებების შესახებ ყოველი სემესტრის დასაწყისში, რაც სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს.

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ჯგუფმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვას, ზოგადად, მონიტორინგს უწევს სანგუ- ს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. შეფასებისა და მონიტორინგის პროცესები ხორციელდება კითხვარების, სტუდენტური გამოკითხვებისა და ფოკუს- ჯგუფების მეშვეობით. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება დადგენილ კრიტერიუმებს. გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირება და გაუმჯობესება ხორციელდება აკადემიური შედეგების, სტუდენტთა უკუკავშირის, კურსებში მოსწრების და სხვა სასწავლო აქტივობების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე თანამედროვე სასწავლო ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის გზით. ფაკულტეტის მიერ განხილული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად ტარდება შეხვედრები, სადაც იმართება პედაგოგთა კონსულტაციები. უსდ სხვადასხვა საშუალებით აგროვებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს: გამოკითხვებით, ინტერვიუებით, აგრეთვე სასწავლო გეგმის შინაარსისა და კომპეტენციების შესახებ მუდმივი კომუნიკაციის გზით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯგუფი აღნიშნავს, რომ განხილული პროგრამები ძირითადად შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებსა და კრედიტების განაწილებასთან, და აკმაყოფილებს სასწავლო კურსის კრიტერიუმებს. სილაბუსები სრულყოფილია, სათანადო სასწავლო მეთოდებით, შეფასების სტრატეგიებითა და სასწავლო მასალებით, რომლებიც ერთობლიობაში ხელს უწყობს პროგრამის მიზნების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირება, საფეხური 6

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრებების შედეგების თანახმად, ჯგუფმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში სწავლის შედეგები ათვლის წერტილად იქნა მიჩნეული, რაც დასტურდება პროგრამისა და მისი კომპონენტების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით.

ზემოთაღნიშნულის თანახმად, სასწავლო კურსების უმეტესობა 5 კრედიტიანია, მხოლოდ ორი სასწავლო კურსი არის 3 კრედიტიანი, ხოლო სავალდებულო უცხოური ენის კურსი - 6 კრედიტიანი. პროგრამის ხელმძღვანელთა აზრით, ამგვარი მიდგომა და წარმოდგენილი სტრუქტურა ეხმარება სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დაგეგმვაში, ამარტივებს პროგრამის ტექნიკურ განხორციელებას და ხელს უწყობს სტუდენტებს შიდა, გარე და საერთაშორისო მობილობის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების დროს აღინიშნა შემდეგი: იმისთვის, რომ კრედიტების მოცულობა შეესაბამებოდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, კურსის დაგეგმვის/ სილაბუსის შედგენის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტების მიერ დასამუშავებელი მასალის სირთულეს, ხასიათს, სპეციფიკასა და მოცულობას, ხოლო დასამუშავებელი მასალის შერჩევა განხორციელდა ლექტორების გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, უსდ ამტკიცებს, რომ კრედიტების გადანაწილება ეფუძნებოდა სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებსა და კურსის სირთულეს, თუმცა არ არსებობს აღნიშნულის საკმარისი მკაფიო დამადასტურებელი საბუთი. უფრო მეტიც, ჯგუფმა აღნიშნა, რომ კრედიტების მოცულობა "მექანიკურად" იქნა განსაზღვრული, და კურსის სპეციფიკა არ იქნა გათვალისწინებული და განხილული. მაგალითად, სპეციალობის სავალდებულო კურსი, როგორიცაა "ეკონომიკის პრინციპები", რომელიც უნდა მოიცვდეს მიკრო და მაკროეკონომიკის ფუნდამენტურ თემებს, ისწავლება 5 ECTS კრედიტიანი კურსის სახით, მაშინ როდესაც სპეციალობის ორი არჩევითი კურსი (მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა) წარმოდგენილია 5-5 ECTS კრედიტიანი კურსების სახით. კიდევ ერთი გასათვალისწინებელი საკითხია, თუ რატომ სთავაზობს საბაკალავრო პროგრამა ისეთ კურსებს, როგორიცაა მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი, ორგანიზაციული ქცევა, ლიდერობა, ოპერაციების მართვა, პროექტის მართვა, მომხმარებლის ქცევა და გაყიდვების მართვა, მენეჯერული ეკონომიკა, არჩევითი საგნების სახით და ამ შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფს ეს პროგრამა კურსდამთავრებულებს იმ მინიმალური კომპეტენციებით, რომლებიც საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების დეტალურმა განხილვამ აჩვენა, რომ უმეტეს კურსებში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები და ინსტრუმენტები. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ნაკლებად ეფექტურია კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად და კურსებისა და/ ან პროგრამის კომპეტენციების შესაფასებლად. მაგალითად,

სასწავლო კურსის კრედიტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებზე გადანაწილების თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს კურსებში საკონტაქტო საათები თანაბრად იყოფა ლექციებსა და სემინარებზე, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ასეთი გადანაწილება უფრო "მექანიკურია" და ნაკლებად ეფუძნება კურსებში განხილული თემების სპეციფიკას, დავალებების რაოდენობას ან/ და სირთულეს, სასწავლო და/ან შეფასების მეთოდებს. მაგალითად, კურსში "ეკონომიკის პრინციპები" (რომელიც უფრო თეორიულია და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ძირითადი პრინციპების ცოდნის მიცემას), საკონტაქტო საათები გადანაწილებულია ლექციებზე (13 საათი) და სემინარებზე (26 საათი). თუმცა, კურსში "საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საფუძვლები" (რომელიც უფრო პრაქტიკულია და ორიენტირებული პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარებაზე), საკონტაქტო საათები იგივე წესით არის გადანაწილებული 13/26. იგივე გადანაწილებას ვხვდებით სხვა ტიპის კურსებშიც, როგორიცაა: მათემატიკა (კალკულუსი), პროექტის მართვა, მარკეტინგის საფუძვლები, მარკეტინგული კვლევა, ადამიანური რესურსების მართვა, მონაცემთა ანალიზი, ბიზნეს სტატისტიკა, ბიზნეს სამართალი და ა.შ.

ჯგუფის გადაწყვეტილებით, ვინაიდან პროგრამის კომპონენტები მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტებს მიზნების მიღწევასა და ბაკალავრის კომპეტენციების განვითარებაში, თითოეულ კურსს ECTS კრედიტების რაოდენობა უნდა მიენიჭოს სტუდენტის სამუშაო დატვირთვისა და სასწავლო მასალის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კრედიტების გადანაწილება ასახავს თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სწავლებას შორის

ბალანსი, აგრეთვე ბალანსი ლექციებსა და სემინარებს/ პრაქტიკულ აქტივობებს შორის, უნდა შეესაბამებოდეს თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების დეტალურმა განხილვამ აჩვენა, რომ უმეტეს კურსებში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები და ინსტრუმენტები. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ნაკლებად ეფექტურია კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად და კურსებისა და/ ან პროგრამის კომპეტენციების შესაფასებლად. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს ჯგუფმა აღნიშნა, რომ ზოგ შემთხვევაში ლექტორები იყენებენ სწავლების უფრო შესაბამის და სანდო მეთოდებს ან შეფასების ინსტრუმენტებს (როგორიცაა როლური თამაშები, ქეისის შესწავლა, პრაქტიკული დავალებები და სხვ.) სტუდენტთა მიღწევების გაზომვისა და შეფასებისათვის, თუმცა გამოყენებული მეთოდები არ არის აღწერილი სილაბუსებში. ჯგუფის გადაწყვეტილებით, სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი ის მეთოდები/ ინსტრუმენტები, აგრეთვე შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოიყენება სწავლება- შეფასების პროცესებში.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ზოგადად, იგი ასახავს, თუ როგორ ავითარებს ცალკეული კურსების სწავლის შედეგები პროგრამის ფართო მიზნებს. თუმცა, არ არის მკაფიოდ დასაბუთებული, თუ როგორაა შესაძლებელი იმ ცოდნისა და უნარების გაღრმავება ან/ და დაუფლება, რომლებიც განსაზღვრულია როგორც პროგრამის სწავლის შედეგები, ისეთი შესავალი კურსების საფუძველზე, როგორიცაა: ეკონომიკის პრინციპები (დონე 3, სწავლის შედეგი 3), ბიზნესის საფუძვლები (დონე 3, სწავლის შედეგი 3; 7), აღრიცხვისა და აუდიტის საფუძვლები (დონე 3, სწავლის შედეგი 5; 10), მართვის საფუძვლები (დონე 3, სწავლის შედეგი 3; 5; 6), მარკეტინგის საფუძვლები (დონე 3, სწავლის შედეგი 3; 7; 8) და სხვ. დამატებით, არ არის საკმარისად მკაფიო, თუ როგორ უზრუნველყოფს არჩევითი კურსები დასახული სწავლის შედეგების მიღწევას და რატომ არის ისინი განსაზღვრული რუკაზე სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტად.

პროგამების მუდმივი გაუმჯობესება ხდება მათი განახლებით სტუდენტების უკუკავშირისა და შეფასებების საფუძველზე, სილაბუსებში პერიოდულად ახლდება ლიტერატურა, იხვეწება შეფასების კრიტერიუმები და უმჯობესდება სწავლების მეთოდები. სტუდენტებს აცნობენ ამ ცვლილებების შესახებ ყოველი სემესტრის დასაწყისში, რაც სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს. თუმცა, კურსის სილაბუსების დეტალურმა მიმოხილვამ სასწავლო მასალების თვალსაზრისით აჩვენა, რომ სილაბუსებში მოცემული იყო სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები, რომლებიც ზოგადად ხელს უწყობს კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უმეტეს შემთხვევაში ეს მასალები შეესაბამება დარგის მიმდინარე მიღწევებს და უმეტესად მოიცავს უახლეს გამოქვეყნებულ ნაშრომებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების აქტუალობას და ეფექტურობას პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. თუმცა, ზოგიერთი რესურსი განახლებას საჭიროებს (იხ. შემდეგი კურსები: ბიზნესის საფუძვლები; ეკონომიკის პრინციპები; მართვის საფუძვლები; ბიზნეს სამართალი; მიკროეკონომიკა; მაკროეკონომიკა; მარკეტინგული კვლევა და სხვ.)

პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია, რომ სანგუ- მ ჩაატაროს კრედიტების გადანაწილებისა და საკონტაქტო საათების სიღრმისეული გადახედვა, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა კურსის შინაარსსა და სირთულესთან. დამატებით, ჯგუფის აზრით, კურსები უნდა გადაიხედოს სწავლებისა და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, დაემატოს შესაბამისი ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გაზომვასა და მიღწევას. ასევე, ზოგიერთ კურსში სასურველია შინაარსის/ თემებისა და ლიტერატურის განახლება ბიზნესისა და დარგის თანამედროვე ტენდენციებისა და საკითხების შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საფეხური 7

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრებების შედეგების თანახმად, ჯგუფმა აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში სწავლის შედეგები ათვლის წერტილად იქნა მიჩნეული, რაც დასტურდება პროგრამისა და მისი კომპონენტების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების უმეტესობას მინიჭებული აქვს 6 ECTS კრედიტი, პრაქტიკული კომპონენტი შეადგენს 10 კრედიტს, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტს.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს ჯგუფმა შეიტყო, რომ არსებული სტრუქტურა ეხმარება სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დაგეგმვაში, ამარტივებს პროგრამის ტექნიკურ განხორციელებას და ხელს უწყობს სტუდენტებს შიდა, გარე და საერთაშორისო მობილობის პროცესში. პროგრამაში ჩართულმა გუნდის წევრებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ პროგრამისა და კურსების შემუშავებაში, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტების მიერ დასამუშავებელი მასალის სირთულეს, ხასიათს, სპეციფიკასა და მოცულობას კურსის დაგეგმვის/ სილაბუსის შედგენის პროცესში, ხოლო დასამუშავებელი მასალის შერჩევა ხდებოდა მათი გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს, რომ კრედიტების მოცულობა შეესაბამება საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

თუმცა, ჯგუფმა აღნიშნა, რომ კრედიტების მოცულობა, აგრეთვე კურსის კრედიტის გადანაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებზე, უმეტეს კურსებში "მექანიკურად" იქნა განსაზღვრული, კურსების სპეციფიკის, თემების, დავალებების რაოდენობის ან/ და სირთულის, სწავლებისა და/ ან შეფასების მეთოდების გაუთვალისწინებლად. უფრო მეტიც, სხვადასხვა კურსში საკონტაქტო საათები თანაბრად იყოფა ლექციებსა და სემინარებზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი გადანაწილება ნაკლებად ითვალისწინებს კურსის ან თემების სპეციფიკას. მაგალითად, სავალდებულო კურსში „პოლიტიკური ხელისუფლების თეორიები" (რომელიც უფრო თეორიულია და ისწავლება 6 ECTS კრედიტიანი კურსის სახით), საკონტაქტო საათები გაყოფილია ლექციებად (13 საათი) და სემინარებად (13 საათი). თუმცა, 6 კრედიტიანი კურსის „სტრატეგიული მართვა" (რომელიც უფრო პრაქტიკულია და მიმართულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე) საკონტაქტო საათები იგივე წესით არის გადანაწილებული - 13/13.

ჯგუფის მიერ გათვალისწინებული კიდევ ერთი საკითხი შემდეგნაირად ჟღერს: რატომ სთავაზობს სამაგისტრო პროგრამა ისეთ კურსებს, როგორიცაა „ორგანიზაციისა და მართვის ფსიქოლოგია"; „მართვის სოციოლოგია" - როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებს, მაშინ როდესაც „მთავრობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა"; „საჯარო ადმინისტრირების მოქმედების კურსი"; „სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის მართვა"; „პერსონალის მართვა" - ისწავლება როგორც არჩევითი კურსები, და ამ შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფს ეს პროგრამა კურსდამთავრებულებს იმ მინიმალური კომპეტენციებით, რომლებიც საჭიროა საჯარო მმართველობის მაგისტრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად. მიუხედავად ამისა, პროგრამის კომპონენტები ორიენტირებულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად მაგისტრის კომპეტენციების განვითარებაზე. მიღწევადი შედეგები საკმარისად განსაზღვრავს პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურას, და გარკვეულწილად აისახება სასწავლო გეგმაში.

სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების დეტალურმა განხილვამ აჩვენა, რომ უმეტეს კურსებში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები და ინსტრუმენტები. ჯგუფის გადაწყვეტილებით, სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი ის მეთოდები/ ინსტრუმენტები, აგრეთვე შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოიყენება სწავლება- შეფასების პროცესებში.

სასწავლო მასალებთან დაკავშირებით, სილაბუსებში ჩამოთვლილია სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები, რომლებიც ზოგადად ხელს უწყობენ კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უმეტეს შემთხვევაში, ეს მასალები შესაბამისობაშია დარგის მიმდინარე მიღწევებთან და ძირითადად მოიცავენ ახალ კვლევებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების რელევანტურობასა და ეფექტურობას პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაში.

პროგამების მუდმივი გაუმჯობესება ხდება მათი განახლებით სტუდენტების უკუკავშირისა და შეფასებების საფუძველზე. სილაბუსებში პერიოდულად ახლდება ლიტერატურა, იხვეწება შეფასების კრიტერიუმები და უმჯობესდება სწავლების მეთოდები. სტუდენტებს აცნობენ ამ ცვლილებების შესახებ ყოველი სემესტრის დასაწყისში, რაც სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, ჯგუფის გადაწყვეტილების თანახმად, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები იმისათვის არის შემუშავებული, რომ დაეხმაროს სტუდენტებს მიზნების მიღწევასა და მათი სამაგისტრო კომპეტენციების განვითარებაში სწავლის გზით, თითოეული კურსისთვის ECTS კრედიტების რაოდენობა უნდა გაანგარიშდეს სტუდენტის სამუშაო დატვირთვისა და გასავლელი მასალის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კრედიტების გამოყოფა ასახავს თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სწავლებას შორის ბალანსი უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, საგნის გათვალისწინებით. სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი ის მეთოდები/ ინსტრუმენტები, აგრეთვე შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოიყენება სწავლება- შეფასების პროცესებში. აგრეთვე, ზოგიერთი კურსი უნდა განახლდეს შინაარსის/ თემატიკის და ლიტერატურის თვალსაზრისით საჯარო მმართველობის თანამედროვე ტენდენციებისა და აქტუალური საკითხების შესაბამისად.

პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ჯგუფის რეკომენდაციით, სანგუ- მ უნდა ჩაატაროს კრედიტების განაწილებისა და საკონტაქტო საათების სიღრმისეული მიმოხილვა, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას კურსის შინაარსსა და სირთულესთან. გარდა ამისა, რეკომენდებულია კურსების გადახედვა სწავლებისა და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით და სანდო რუბრიკების შემუშავებით, რაც უზრუნველყოფს დასახული სწავლის შედეგების გაზომვასა და მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერა;
- საბაკალავრო პროგრამის აღწერა;
- თვითშეფასების ანგარიში;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი შესაბამისობა სასწავლო კურსების შინაარსთან და სირთულესთან. (1.5)
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების შეფასების მეთოდოლოგია. (1.5)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გადაიხედოს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების კურსები, შინაარსის / თემების და ლიტერატურის განახლების თვალსაზრისით, ინდუსტრიის და სასწავლო საგნების სფეროების თანამედროვე ტენდენციების და საკითხების შესაბამისად. (1.5)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით სწავლის შედეგების გაზომვის და მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით (1.5).
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული სავალდებულო კურსის როლი და ინტენსივობა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და გასაზომად. (1.5)

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, იმისთვის რომ გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ინსტრუმენტები და შემუშავდეს ვალიდური რუბრიკები სწავლის შედეგების გაზომვის და მიღწევის უზრუნველყოფისთვის. (1.5)
- რეკომენდებულია, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის შინაარსის გამდიდრება დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ რეკომენდებულ ძირითად საკითხებთან შესაბაბამისობის მიზნით, იმისათვის, რომ გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების განვითარება ისეთ სპეციფიკურ სფეროებში, როგორიცაა: სახელმწიფო შესყიდვების მართვა, პროგრამების ან / და პროექტების მართვა საჯარო / სამოქალაქო სექტორში; ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურის ორგანიზაციებში; ადმინისტრაციული ლიდერობა, ორგანიზაციული განვითარება ან / და ცვლილებების მართვა საჯარო ადმინისტრირებაში; ადგილობრივი / მუნიციპალური / რეგიონული / სახელმწიფო განვითარების დაგეგმვა და მართვა (ორგანიზაციული, სტრატეგიული, სოციალურ-ეკონომიკური). (1.5)

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	x	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	x	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	x	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობებია:

სანგუ- ს მიერ წარმოდგენილი კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების თანახმად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები უმეტესწილად ლოგიკური, სამართლიანი და გამჭვირვალეა და შეესაბამება განათლების დონეს, რაც საერთო ჯამში უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

ადმინისტრაციულ პერსონალითან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაშვების წინაპირობები გამომდინარეობს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პროგრამის სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან. მთლიანობაში, წინაპირობები გამომდინარეობს შესაბამისი პროგრამების გამოცდილებიდან და საორიენტაციო მაჩვენებლებიდან. ისინი უმეტესწილად ითვალისწინებს ბიზნესისა და საჯარო მმართველობის სფეროებში კვალიფიციური სპეციალისტების საბაზრო მოთხოვნას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად, კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად, აპლიკანტებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი სამაგისტრო გამოცდა, დაადასტურონ B2 დონის ინგლისური ენის კომპეტენციები, წარმოადგინონ CV და ჩააბარონ შიდა გამოცდა.

დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონმდებლობას, ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს უნარიანი პირების ჩართვას. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროგრამების შესახებ გაიგეს ახლობლებისგან, სკოლის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებზე და უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. www.sangu.edu.ge

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ჩარიცხვის პროცესის შესახებ ინფორმაცია აღწერილია პროგრამის ჩარიცხვის დოკუმენტსა და უნივერსიტეტის ვებ- საიტზე. სასწავლო პროგრამა ყველა კომპონენტით ხელმისაწვდომია კანდიდატებისთვის ჩარიცხვამდე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 საჯარო მმართველობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას გააჩნია პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. კერძოდ: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შესაბამისობის შიდა გამოცდა (ზეპირი გასაუბრება) და ფლობენ ინგლისურ/გერმანულ ენას B2 დონეზე. პირები, რომლებსაც გააჩნიათ ენის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატი ან მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამის ენზე, გათავისუფლებული არიან უცხოური ენის გამოცდისგან, რაც დასტურდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ჩარიცხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224 ბრძანების შესაბამისად. უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ გადმოვიდნენ საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის №10 ბრძანების შესაბამისად. ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ- საიტზე. www.sangu.edu.ge პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა: 50

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.sangu.edu.ge:
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: **კლასტერის საერთო რჩევები:**
რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐

პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგება 120 ECTS კრედიტისგან, რომელიც განაწილებულია სავალდებულო კურსებზე (66 ECTS), არჩევით კურსებზე (24 ECTS), პრაქტიკულ კომპონენტებსა (10 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომზე (20 ECTS). ECTS კრედიტების განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უზრუნველყოფს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას სამაგისტრო ხარისხის სპეციფიკისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, თეორიის, პრაქტიკისა და კვლევის ბალანსის დაცვით.
ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სანგუ უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო დონის შესაბამისად. ამისათვის უნივერსიტეტს გააჩნია სხვადასხვა რესურსი და დაგეგმილი აქტივობები. პროგრამებში შემოთავაზებული შესაბამისი კომპონენტების სტრუქტურა მიზნად ისახავს განსაზღვრული უნარების გაძლიერებას და სტუდენტების აქტიურ ჩართულობას კვლევით პროექტებში, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი ელემენტებია:

(ა) პრაქტიკული სწავლება და კარიერული მომსახურება: საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი. ორივე პროგრამაში არსებობს თეორიული ლექციებისა და პრაქტიკული საკონტაქტო საათების კურსები. სტუდენტები სავალდებულო კომპონენტის სახით გადიან პროფესიულ პრაქტიკას, რაც მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში, განავითარონ პროფესიული უნარები და გააუმჯობესონ დასაქმებისა და სტაჟირების პერსპექტივები.

პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად სანგუ- ს გაფორმებული აქვს შეთანხმებები/ მემორანდუმები რამდენიმე ორგანიზაციასთან (მაგ. შპს შროშანი; სს ტერაბანკი; სს ბაზისბანკი; სს საქკაბელი; სს პარტნიორობის ფონდი; სტატისტიკის ეროვნული სააგენტო; საჯარო სამსახურის ბიურო; სახელმწიფო აუდიტის სამსახური და სხვ.). პრაქტიკა იგეგმება და ტარდება პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე; იგი უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკული სწავლება სრულფასოვნად მიმდინარეობდეს; მასპინძელი დაწესებულება ნიშნავს მენტორს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტებს ადგილზე. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი იცავს მასპინძელი დაწესებულების შიდა წესდებას, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმებს, ასრულებს სპეციფიკურ სამუშაოს და აწარმოებს პრაქტიკის დღიურს პრაქტიკის კალენდრის გეგმისა და მენტორის ინსტრუქციების შესაბამისად. აღნიშნული

კომპონენტი და მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში. უნივერსიტეტში შექმნილია დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სამუშაო ვაკანსიებზე, ეხმარება დოკუმენტაციის მომზადებაში და ხელს უწყობს კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის კავშირი დამყარებას. სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმებული შეთანხმებების შესაბამისად, იგი ახორციელებს აქტივობებს სტაჟირებების, პროფესიული სემინარებისა და სხვა კარიერასთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდასაჭერად.

(ბ) სტუდენტური კონფერენციები და კვლევის განვითარება: თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ჯგუფმა აღნიშნა, რომ სანგუ ატარებს ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებს, სადაც სტუდენტებს მონაწილეობა და საკუთარი ნამუშევრების წარდგენა შეუძლიათ. აკადემიური/ მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობს სტუდენტების კვლევით საქმიანობას და აძლიერებს მათ ჩართულობას სამეცნიერო/კვლევით აქტივობებსა და პროექტებში. უფრო მეტიც, საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც სტუდენტებს აძლევს რთული საკითხების შესწავლისა და კვლევითი, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარების შესაძლებლობას. ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს თემებს და უზრუნველყოფს აკადემიურ სტანდარტებთან მათ შესაბამისობას. შეფასების წესები და პირობები მოცემულია საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

(გ) დამატებითი აკადემიური სამუშაო: სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება შეესაბამება იმ უნარებს, რომლებსაც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ავითარებს სწავლის შედეგების მიღწევის გზით. სასწავლო გეგმით შემოთავაზებული სავალდებულო და არჩევითი კურსები, სწავლების მეთოდები (მაგ. ქეისის შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, პრაქტიკული დავალებები, პრეზენტაციები), პრაქტიკული გაკვეთილები, სამუშაო ჯგუფში სემინარები, პროგრამაში ინტეგრირებული მინი-პროექტების მომზადება ან საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა უზრუნველყოფს სტუდენტების აღნიშნული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, შუალედური შეფასებები ხშირად მოიცავს აკადემიურ დავალებებს, როგორიცაა აბსტრაქტები და პროექტის პრეზენტაციები, რომლებიც ძირითადად ხელს უწყობს ზემოაღნიშნული უნარების განვითარებას.

სანგუ- ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ჯგუფმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, ზოგადად, კმაყოფილნი არიან საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტების კომპეტენციებითა და პრაქტიკული უნარებით (კერძოდ, მონაცემების შეგროვება, ანალიზი და კლასიფიკაცია, დეტალებზე ორიენტაცია, პრობლემების გადაჭრა, რბილი უნარები და სხვ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებული რესურსები;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.sangu.edu.ge (ინფორმაცია სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, კვლევების საქმიანობის შესახებ).

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა რეალურ და საბანკო სექტორთან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დონეზე სტუდენტებისთვის სტაჟირების შეთავაზების და მოთხოვნის გამრავალფეროვნების მიზნით. (2.2)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სანგუ- ს მიერ წარმოდგენილი კლასტერის დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ჯგუფმა აღნიშნა, რომ კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები საერთო ჯამში შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის მეთოდების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს გამოყენებული მეთოდების შესაბამისობას განათლების დონესთან, კურსის შინაარსთან და მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამებში გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც მიზნად ისახავს სწავლის პროცესში სტუდენტების აქტიურად ჩართვას. ეს მეთოდებია: ინტერაქტიული ლექციები/ სემინარები, ქეისების ანალიზი, პროექტები, გონებრივი იერიში და დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული სამუშაო, ზეპირი ინსტრუქცია, წერილობითი დავალებები, ელ- სწავლება და სხვ. სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ თითოეული კურსის სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები გარკვეულწილად მითითებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებსა და სახელმძღვანელოებში. ამრიგად, თითოეული კურსის სილაბუსები მეტ- ნაკლებად ნათლად ასახავს სწავლა- სწავლების მეთოდებს, რაც მიუთითებს ამ მეთოდებსა და კურსის მიზნებს შორის შესაბამისობაზე. მეთოდები არა მხოლოდ მრავალფეროვანი, არამედ მოქნილიც არის, რაც საშუალებას აძლევს ლექტორებს მოარგონ ესა თუ ის მიდგომა კურსის ან ინდივიდუალური სტუდენტის კონკრეტულ საჭიროებებს. ეს მოქნილობა გადამწყვეტია სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვადასხვა სწავლის სტილისა და საჭიროებების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ წარმატების მიღწევა. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლების მეთოდების ინტერაქტიულობას, ხელს უწყობს აქტიურ ურთიერთქმედებას სტუდენტებს შორის, აგრეთვე სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. ეს ურთიერთქმედება არსებითია კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებისთვის, რაც პროგრამების სწავლის შედეგების ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს. აქცენტი ინტერაქტიული სწავლის მეთოდებზე, როგორიცაა ჯგუფური დისკუსია და შემთხვევის შესწავლა, გუნდური პროექტები, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები არ არიან ინფორმაციის პასიური მიმღებები, არამედ აქტიურად არიან ჩართულნი თავიანთი ცოდნის შექმნაში. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს, სადაც აქცენტი სტუდენტის სასწავლო პროცესში აქტიურ როლზე კეთდება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სილაბუსების დეტალურმა შესწავლამ აჩვენა, რომ უმეტეს კურსებში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები. ზოგიერთი მათგანი მეტ- ნაკლებად უზრუნველყოფს კურსის მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სილაბუსი, სადაც გამოიყენება მრავალარჩევითიანი ტესტები, წერილობითი დავალებები, პრეზენტაციები ან პროექტები, უნდა გადაიხედოს და დაემატოს შეფასების უფრო რელევანტური ფორმები (განსაკუთრებით დეტალურად აღწერილი დავალებები და შეფასების რუბრიკები) თითოეული სტუდენტის კომპეტენციების უფრო სანდო შეფასების თვალსაზრისით. სტუდენტის ინდივიდუალური მიღწევების ობიექტური და სანდო შეფასებისთვის, აგრეთვე თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების, კომპეტენციების და ცოდნის გამოვლენისა და გაზომვის მიზნით, აგრეთვე სტუდენტის ძლიერი მხარეების, ხარვეზების გამოვლენისა და მათი ცოდნის დონის გაგების მიზნით, შეფასება უნდა ჩატარდეს მოქმედი მეთოდი(ებ)ის გამოყენებით, დეტალურად აღწერილი რუბრიკებით, გაზომვადი და სანდო მაჩვენებლებითა და შესაბამისი ქულებით.

გარდა ამისა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვისას ჯგუფმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი ლექტორი იყენებს და ახორციელებს სწავლების უფრო შესაბამის და სანდო მეთოდებსა და შეფასების ინსტრუმენტებს სტუდენტთა მიღწევების განვითარების, გაზომვისა და შეფასებისათვის, თუმცა გამოყენებული მეთოდები არ არის ნახსენები და აღწერილი სილაბუსებსა და პროგრამებში. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ლექტორმა ვერ ახსნა კონკრეტული სწავლების მეთოდის მიზანი და წვლილი

პროგრამის ან კურსის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. ამგვარად, სანგუმ- მ უნდა უზრუნველყოს, რომ ლექტორები ეფექტურად ყენებენ სწავლების სტრატეგიებს, სწავლის მეთოდებს და შეფასების ინსტრუმენტებს, ხოლო ინსტიტუციამ უნდა ჩაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. გარდა ამისა, სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი ის მეთოდები/ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება სწავლა-შეფასების პროცესში. ამდენად, ზოგიერთი სილაბუსი უნდა გადაიხედოს სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/ რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე 6

საბაკალავრო პროგრამისა და სილაბუსების მიმოხილვის, ასევე გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ჯგუფმა აღნიშნა, რომ ყველა შეთავაზებული კურსის ფარგლებში გამოიყენება ლექციისა და სემინარის მეთოდი. კონკრეტული კურსის ფარგლებში განსახილველი და სასწავლი საკითხების შინაარსისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მეტ- ნაკლებად გამოიყენება შესაბამისი მეთოდები და აქტივობები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში იმგვარი მეთოდებია გამოყენებული, რომლებიც პრაქტიკული განხორციელების შედეგად უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიღწევას. პროგრამის აღწერილობაში მითითებულია, რომ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მიიღწევა შემდეგი მეთოდებით: ლექციები, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული გაკვეთილები, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, წინასწარ განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად კვლევის განხორციელება, თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მიზნით სასწავლო პრაქტიკის ობიექტზე სამუშაო პროცესში მონაწილეობა. ასევე გამოიყენება ზეპირსიტყვიერი და წერილობითი მეთოდები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, წიგნზე მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს დავალებების შემოქმედებითად შესრულებას და საკითხების ვიზუალიზაციას; ასევე გამოიყენება: დისკუსიები/ დებატები; დემონსტრირება; ახსნა- განმარტებითი მეთოდი; გონებრივი იერიში; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პრაქტიკული მეთოდები და სხვ. საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებლები იყენებენ ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანის შესასრულებლად. სხვადასხვა მეთოდისა და მათი კომბინაციის გამოყენების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტის ჩართულობა უფრო აქტიური. ეს ნიშნავს, რომ სწავლის პროცესში სტუდენტები ავლენენ და ავითარებენ საკუთარ უნარებს, ეუფლებიან ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებს, ისახავენ მიზნებს და მათ მისაღწევად შესაბამის გზებსა და მეთოდებს იყენებენ, ეტაპობრივად გეგმავენ სამუშაოს და მართავენ დროს, აქტიურად იყენებენ საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ბიბლიოთეკის ფონდს საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად და მოძიებული ინფორმაციის ანალიზისთვის, აყალიბებენ და ასაბუთებენ დასკვნებს და მოსაზრებებს, ახორციელებენ ზეპირ/ წერილობით კომუნიკაციას, აზიარებენ საკუთარ ცოდნას და კომპეტენციას, არგუმენტირებულად იცავენ დასკვნებსა და მოსაზრებებს. კონკრეტული მეთოდის ან მეთოდების კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტის მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

თუმცა, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამისა და სილაბუსების დეტალურმა მიმოხილვამ, ასევე გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ სათანადო სასწავლო სტრატეგიების გამოყენებისა და ეფექტური განხორციელების, სანდო სასწავლო მეთოდებისა და შეფასების საიმედო ინსტრუმენტების უზრუნველსაყოფად, თითოეულ სილაბუსში აღწერილი უნდა იყოს სწავლება- შეფასების პროცესებში გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტები. ამდენად, ზოგიერთი სილაბუსი უნდა გადაიხედოს სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/ რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 საჯარო მმართველობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე 7

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება შემდეგი სწავლების მეთოდები: ზეპირი მეთოდი, დამოუკიდებელი სწავლა, დისკუსია/ დებატები, გუნდური მუშაობა, ქეისის შესწავლა, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა- განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ მუშაობაში, სამუშაო ჯგუფში, საშინაო დავალებებში, შუალედურ შეფასებებში, პრეზენტაციებში, ანგარიშებში, ესეში, სამაგისტრო ნაშრომში. სასწავლო მეთოდები მოცემულია პროგრამის აღწერილობაში და თითოეულ სილაბუსში. თუმცა, ზოგიერთი სილაბუსი უნდა გადაიხედოს სასწავლო მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/ რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამის აღწერა და სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებული რესურსები;
- გასაუბრების შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ლექტორებმა ეფექტურად გამოიყენონ და განახორციელონ სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, სწავლის მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო დაწესებულება აღნიშნული მიზნის მხარდასაჭერად ჩაერთოს შესაბამის აქტივობებში. (2.3)
- სასურველია, სილაბუსებში უფრო დეტალურად აღიწეროს გამოყენებული სწავლების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები ან რუბრიკები. (2.3)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების"	**x**	☐	☐	☐

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე				
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	**x**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამების შეფასების სისტემა მოიცავს:

ა) დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41- 50 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი შრომა და უფლება აქვს კიდევ ერთხელ გაიაროს გამოცდა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ;

(F) – ჩაიჭრა– 40 ქულა ან ნაკლები ჯამური ქულიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მუშაობა არასაკმარისია და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი.

შეფასების მინიმალური ზღვარი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის 100-დან 51%.

თითოეული კურსის სილაბუსი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და სისტემას. სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს გამოცდის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობას. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები უზრუნველყოფს სამართლიანობას ყველა სტუდენტისთვის, გამჭვირვალობას და მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების დაცვას. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები საჯაროდ ხელმისაწვდომია და სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილი, ვინაიდან სილაბუსები განთავსებულია სტუდენტთა ელექტრონულ პორტალზე. სანგუ- ში სტუდენტებს აქვთ გამოცდის შედეგების გასაჩივრების უფლება, ხოლო შედეგების გასაჩივრებისთვის შექმნილია სპეციალური კომისია. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს პარტნიორობის გაძლიერების მნიშვნელობა უძრავი ქონებისა და საბანკო სექტორებთან, რაც გააფართოებს სტაჟირების შესაძლებლობებს საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტებისთვის. მათი თქმით, შეფასებები მიმდინარეობდა სამართლიანად, გამჭვირვალედ და სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად. აკადემიური კურსებისა და სტაჟირებების შეფასების მეთოდები პერსონიფიცირებულია და შეესაბამება სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამა

უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების გამჭვირვალე და სამართლიან პროცესს, რომელსაც აკონტროლებს სამაგისტრო ნაშრომის კოორდინატორი და ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული კომისია.

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები.
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	**x**	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და კარიერულ განვითარების შესახებ პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისგან. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი სტუდენტებს უზიარებს ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ; იმისათვის, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ მომავალი ღონისძიებების შესახებ, უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყენებენ პლატფორმას და გზავნიან შეტყობინებებს ელ-ფოსტის საშუალებით. უნივერსიტეტი იყენებს სისტემას, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო მასალები და შეფასებები. სწავლებისა და სწავლის მაღალმა ხარისხმა, რომელიც მოცემული პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება, გამოიწვია სტუდენტთა მაღალი კმაყოფილება. სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მთავარი მიზეზი, რის გამოც მათ მეგობრებს აღნიშნული უნივერსიტეტი ურჩიეს. ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს დადებით გარემოსა და კეთილგანწყობილ ურთიერთობას სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის. საჯარო ადმინისტრირების პროგრამის მაგისტრანტებმა, მეორე მხრივ, ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტის ყურადღებას დროის მართვაზე, აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო გეგმა შემუშავებულია დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინებით, რაც სტუდენტებს სწავლისა და სამუშაო შესაძლებლობების თანაბრად მართვაში ეხმარება. აგრეთვე, დამატებითი ფაქტორი, რის გამოც ისინი უნივერსიტეტს რეკომენდაციას უწევენ, არის მცირე ჯგუფები და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. სანგუ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ონლაინ გასაუბრებისას რამდენიმე მნიშვნელოვანი

საკვანძო საკითხი გამოიკვეთა. სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს მათ აქტიურ კომუნიკაციას ლექტორებთან სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის კონსულტაციებზე. ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარედ გამოიკვეთა მკაფიო და დაგეგმილი საკონსულტაციო საათების ნაკლებობა, რაც სტუდენტებისთვის მხარდაჭერაზე უფრო სტრუქტურირებულ წვდომას უზრუნველყოფდა. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ საჭიროებისამებრ გამოიყენონ საკონსულტაციო საათები. ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ კვლავ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ ონლაინ და დაესწრონ ლექციებს დისტანციურად, თუმცა ხარისხის სამსახურის თანამშრომლები არ არიან ინფორმირებულნი ონლაინ ლექციების ხელმისაწვდომობის შესახებ.
გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ სტუდენტები თითოეული სემესტრის დასაწყისში ხვდებიან ადმინისტრაციის წევრებს. შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს აქვთ საკუთარი შეფასებების გასაჩივრების უფლება. თუ ისინი კმაყოფილები არ არიან მიღებული შეფასებით, შეუძლიათ გაასაჩივრონ პორტალზე საჭირო ინფორმაციის შეყვანის გზით.
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სემესტრის ბოლოს კითხვარის შევსებით აფასებენ აკადემიური პერსონალის საქმიანობას და თითოეული კურსის ხარისხს. ხარისხის მართვის სამსახური სტუდენტებს უზიარებს კითხვარს იმისათვის, რომ შეაფასონ როგორც სასწავლო კურსი, ასევე ლექტორი. უნივერსიტეტის დასაქმებისა და განვითარების დეპარტამენტი წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, იწვევს დამსაქმებლებს და ასევე, მართავს კარიერის კვირეულს. ეს განყოფილება პასუხისმგებელია ისეთი შესაძლებლობების გაცნობაზე, როგორიცაა სტაჟირებები, სამუშაო ვაკანსიები და სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები.
უნივერსიტეტში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა კომპანიაში არსებული სამუშაო შესაძლებლობების შესახებ. თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულებს არ აქვთ ამ ღონისძიებებთან ან დეპარტამენტთან მკაფიო კავშირი. გარდა ამისა, სტუდენტებს წვდომა აქვთ კარგად აღჭურვილ ბიბლიოთეკაზე, რომელიც სთავაზობს ყველა საჭირო მასალას აკადემიური საჭიროებებისთვის. მათ ასევე აღნიშნეს, რომ რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა პროექტისა და კონფერენციის შესახებ, რომელშიც ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა. გარდა ამისა, სტუდენტები ხშირად იღებენ კითხვარებს უნივერსიტეტისგან სწავლება-სწავლის პროცესის, აგრეთვე კონკრეტული ლექტორების მუშაობის შესაფასებლად.
პროგრამის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს სტუდენტების მცირე რაოდენობა, რაც საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს გაუწიონ პერსონალური დახმარება და კონსულტაცია, რაც დადასტურდა გასაუბრებების დროს.
თითოეული სემესტრის დასაწყისში კურსების ლექტორები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას შეფასების სისტემის, შეფასების კრიტერიუმებისა და კურსების სილაბუსების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები.
- სასწავლო პროგრამები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა მხარე (პროფესორები, ხელმძღვანელები, მაგისტრანტები სტუდენტი/კურსდამთავრებული) კარგად იცნობდეს სამეცნიერო კვლევის კომპონენტის შეფასების პროცედურასა და კრიტერიუმებს, რათა დაზუსტდეს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ასპექტის შეფასებაზე ხელმძღვანელი, რეცენზენტი ან კომისიის წევრები (3.1)

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	x	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	x	☐	☐

3.2. **მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელმძღვანელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაშრომის წერის პროცესში. ეს მოიცავს შემდეგს:

- სტუდენტის დახმარება კვლევის თემის შერჩევაში,
- კვლევის გეგმის, პროცესისა და ნაშრომის ფორმატზე სისტემატური კონსულტაციების გაწევა,
- ინდივიდუალური შეხვედრების გამართვა,
- შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა და საჭირო ლიტერატურის ძიებაში დახმარება,

- სტუდენტის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა პროცედურები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ხელმძღვანელი რეგულარულად უწევს კონსულტაციას მაგისტრანტებს მთელი სემესტრის განმავლობაში და სტუდენტის მოთხოვნისამებრ. კონსულტაციების სიხშირე შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებთან და საკვლევ თემასთან. ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს თემის ჩამოყალიბებაში, ნაშრომის სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისობაში, და აძლევს რჩევებს კვლევის შედეგების წარმოჩენის საკითხებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტში დანერგილია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების მეთოდოლოგია.

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულებს არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია მათი სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირების პროცესის შესახებ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი სტუდენტთა მიერ არ ფასდება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საჯარო მმართველობა, საფეხური 7)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები **პროგრამა 1 (საჯარო მმართველობა, საფეხური 7)**	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**6**
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**0**
მაგისტრანტების რაოდენობა	**6**
//დოქტორანტების რაოდენობა	**0**
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	**1**
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	**-**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეაფასონ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელება და მათი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობა. (3.2)

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	**x**	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების და საჯარო მმართველობის პროგრამებში ჩართული პერსონალი ექვემდებარება სანგუ-ს კანონებს, შიდა წესებს და მართვის სახელმძღვანელო პრინციპებს. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, უნივერსიტეტმა დაადგინა აკადემიური პოზიციების კონკურსის ჩატარების პროცედურა და განსაზღვრა დასაქმების პირობები. სანგუ-მ წარმოადგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პერსონალის შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები, რომლებსაც უნივერსიტეტი ითვალისწინებს, მოცემულია შიდა პროცედურებში და აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სტანდარტებს. აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ გამოაქვეყნეს სამეცნიერო ნაშრომები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მოწვეული მასწავლებლები სანგუ-ში დასაქმებულები არიან ხელშეკრულების საფუძველზე და გააჩნიათ შესაბამისი კერძო და საჯარო გამოცდილება, რაც ეხმარება სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პერსონალის წევრები ასევე ვალდებულებას იღებენ სტუდენტებისთვის კონსულტაციებისა და დახმარების გაწევაზე. ამ მიდგომის სახელმძღვანელო პრინციპები პროგრამების შექმნის, განვითარებისა და შეფასების, აგრეთვე პერსონალის ვალდებულებების შესახებ დეტალურად არის აღწერილი მათ შრომით ხელშეკრულებებში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტურ მართვას, კომპეტენციების ოპტიმალურ გამოყენებას და მაღალხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, ხელს უწყობს პერსონალის საქმიანობის ორგანიზებისა და შეფასების გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს შექმნისა და განვითარების პროცესებს, გამოიყენებს შიდა შეფასების მექანიზმებს. უნივერსიტეტის სკოლების ადმინისტრაციული გუნდი მოიცავს დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და მის პერსონალს, სტუდენტების წარმომადგენელს და

სხვა დამხმარე პერსონალს. სანგუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კომპეტენციები სრულად შეესაბამება მათ სამსახურებრივ მოვალეობებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)

პროგრამა შედგება რვა აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის ექვსი პროფესორი და ორი ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე თექვსმეტი მოწვეული ლექტორი. ეს მიუთითებს მოწვეულ პერსონალზე მნიშვნელოვან დამოკიდებულებას, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს სწავლების თანმიმდევრულობასა და უწყვეტობაზე. პროგრამა ავლენს მნიშვნელოვან სამეცნიერო აქტივობას, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტი აფინანსებს საერთაშორისო პუბლიკაციებს და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას. საერთაშორისო აქტივობის მაღალი ხარისხი ასახავს მძლავრ სამეცნიერო საქმიანობას და მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებაში. პროგრამა ავლენს სამეცნიერო აქტიურობის მაღალ დონეს, განსაკუთრებით საერთაშორისო მასშტაბით, რასაც უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო პუბლიკაციებისა და კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური დახმარებით. ეს ჩართულობა ხაზს უსვამს აკადემიური პერსონალის აქტიურ როლს გლობალურ აკადემიურ საზოგადოებაში და გამოკვეთს პროგრამის ძლიერ სამეცნიერო ძალისხმევას.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[7]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[8]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**8**	**8**	**8**	**7**
- პროფესორი	6	5	6	5
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	16	13	13	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საჯარო მმართველობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)

პროგრამაში ჩართულია სულ 19 თანამშრომელი, რაც მოიცავს 12 აკადემიურ პერსონალს და 7 მოწვეულ ლექტორს. აკადემიური პერსონალი მოიცავს 6 პროფესორს და 6 ასოცირებულ პროფესორს. მხოლოდ 9 აკადემიური პერსონალია აფილირებული უნივერსიტეტთან. პროგრამა ავლენს მნიშვნელოვან

[7] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[8] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო ჩართულობას, რაც მიუთითებს მის აქტიურ როლზე როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე, რაც ხელს უწყობს აკადემიური შეხედულებებისა და კვლევის განვითარებას.

პროგრამა 2 (საჯარო მმართველობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[9]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[10]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	12	12	11	9
- პროფესორი	6	5	6	4
- ასოცირებული პროფესორი	6	5	5	5
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	7	7	7	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- SER და დანართები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:
რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების"	x	☐	☐	☐

[9] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე				
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთდა შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სანგუ-ს წესების საფუძველზე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სანგუ-ში შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი შესაბამისი დარგის კვალიფიკაციით.
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 12 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალის მიერ, რომლებსაც გააჩნიათ მაგისტრანტების ხელმძღვანელობისათვის საჭირო კვალიფიკაცია საჯარო მმართველობის სფეროში, რაც დასტურდება მათი CV-ებითა და SCOPUS-ში ინდექსირებული პუბლიკაციებით.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[11]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	17	8	10
- პროფესორი	7	5	5
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5

[11] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	5	5	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და საკვალიფიკაციო დოკუმენტები;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციები;
- „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის აღწერა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სანგუ რეგულარულად ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებასა და შეფასების შედეგების ანალიზს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტების მეშვეობით. შეფასების პროცესი ფოკუსირებულია აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალზე. საერთო პერსონალის კმაყოფილების გარდა, შეფასების პროცესი ფოკუსირებულია პერსონალის საქმიანობის შეფასებაზე, განსაკუთრებით პუბლიკაციებზე, სახელმძღვანელოებზე, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობაზე.
შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვისთვის.
სანგუ პერსონალს უზრუნველყოფს პროფესიული გადამზადების კურსებით, სერტიფიკატის/სასწავლო მივლინებების/კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დაფინანსებით/თანადაფინანსებით და ა.შ.
სანგუ ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, თანხების გამოყოფით: ა) სტატიის გამოქვეყნებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, ბ) სამეცნიერო ნაშრომის დაბეჭდვისთვის (წიგნი, მონოგრაფია, ლექსიკონი, ენციკლოპედია და სხვ.), გ) საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის (კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა, სიმპოზიუმი და სხვ.), დ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებისთვის უნივერსიტეტში და ა.შ.
აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ სანგუ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კარიერულ განვითარებას, აგრეთვე უწყობს ხელს მათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. კარიერული განვითარების უზრუნველსაყოფად სანგუ-ში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, კერძოდ, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მათ შორის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების, ყოველწლიური მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში, რომლისთვისაც ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა გამოიყოფა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- კვლევის დაფინანსების წესები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორივე პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომლებიც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც მოიცავს კარგად აღჭურვილ აუდიტორიებს, საბიბლიოთეკო რესურსებს, ინტერნეტ-უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებს, კერძოდ: სანგუ-ს ლოკალური და გლობალური ქსელი დაცულია უსაფრთხოების კედლით Kerio Control, რომელიც უზრუნველყოფს - მარშრუტიზაციას მომხმარებელსა და ორ პროვაიდერს შორის, ინტერნეტ ნაკადის ბალანსს, ქსელის წვდომის კონტროლს, ქსელის პაკეტების შემოწმებას ვირუსებზე.
უნივერსიტეტი აღჭურვილია 5 კომპიუტერული კლასით, სულ 120 მომხმარებლის პირადი წვდომით კომპიუტერებზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია 28 პერსონალური კომპიუტერით, რომლებზეც დაყენებულია "Zero Client" სისტემები. უნივერსიტეტი აღჭურვილია Moodle პლატფორმით და უსადენო ინტერნეტით, რომელიც ხელმისაწვდომია შენობის შიგნით და მის შემოგარენში. სანგუ არის ქართული საბიბლიოთეკო კონსორციუმის წევრი, რომელიც, თავის მხრივ, საერთაშორისო კონსორციუმ ELFE-ის წევრია. შეთანხმების საფუძველზე, სანგუ-ს აქვს წვდომა ელექტრონულ

სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. სანგუ პასუხისმგებელია ორივე პროგრამის ბიბლიოთეკის, მასალების, ინფორმაციისა და ციფრული რესურსების მუდმივ ზრუნვასა და გაუმჯობესებაზე. ბიბლიოთეკაში მოცემულია სასწავლო გეგმაში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა. ლიტერატურა ახლდება და მოიცავს ბიბლიოგრაფიის ახალ წყაროებს. გარდა ამისა, სხვადასხვა სასწავლო მასალას, მათ შორის ელექტრონულ რესურსებს, რაც ერთობლიობაში ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, ყველა მასალა, ლაბორატორიული საშუალებები, ინფორმაცია და ციფრული რესურსები შეზღუდვის გარეშეა ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აქვთ წვდომა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე, ელექტრონულ კატალოგებზე და სხვ. სტუდენტები სათანადოდ არიან ინფორმირებული ამ რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ და აღჭურვილი არიან მათი ეფექტურად გამოყენებისთვის საჭირო ცოდნით.
სანგუ ზრუნავს პროგრამის ლიტერატურის, მასალის, ინფორმაციისა და ციფრული რესურსების განახლებაზე; ბიბლიოთეკაში ინახება სილაბუსებში მითითებულ ძირითად ლიტერატურა, აგრეთვე სხვა სასწავლო მასალები (მათ შორის ელექტრონული რესურსები), რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
უნივერსიტეტის რესურსები თანაბრად გამოიყენება ორივე პროგრამის განხორციელებისთვის. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისა და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და ონლაინ სტუდენტთა ბაზის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ბიბლიოთეკის ტური;
- საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგი: http://library.sangu.edu.ge/opac/index.php

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო	x	☐	☐	☐

პროგრამა, მე - 6 დონე				
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სანგუ-ს ბიუჯეტის ფინანსური რესურსი, რომელიც ეხება ბიზნესის ადმინისტრირებისა და საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამებს, გამოყოფილია არსებული წესების შესაბამისად. უნივერსიტეტი დაფინანსება მოიცავს სწავლის გადასახადებს, ბიუჯეტურ ასიგნებებსა და საერთაშორისო პროექტებში თანამშრომლობას. უნივერსიტეტის ძირითადი ფინანსური რესურსი პირადი სახსრებია, რომლებიც სწავლის საფასურიდან არის გენერირებული. ფინანსური სახსრები საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის გამჭვირვალე და შესაბამის განაწილების სისტემას.
ბიუჯეტი ფარავს ძირითად ხარჯებს, პრიორიტეტია თანამშრომელთა ანაზღაურება, აქტივების მოვლა-პატრონობა, აკადემიური მობილობა, სტაჟირებები, ბიბლიოთეკის რესურსები, სასწავლო აღჭურვილობა, ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, რემონტი, სამეცნიერო კვლევები და სტუდენტური აქტივობები. აუდიტორიები, მათ შორის საკონფერენციო დარბაზები, სემინარის ოთახები და პრაქტიკული სწავლების სივრცეები, შესაბამისად არის აღჭურვილი შესაბამისი ფუნქციების მიხედვით. საერთო ჯამში, ნორმატიული ჩარჩოს შესაბამისად, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისთვის ფინანსური სახსრები სათანადოდ არის უზრუნველყოფილი. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორები ჩართული არიან ბიუჯეტის დაგეგმვაში, მონიტორინგში, კონტროლსა და ფინანსური რესურსების შესახებ ანგარიშგებაში. დაწესებულება ფინანსურად უჭერს მხარს კვლევებსა და გამოქვეყნებებს საკუთარი პროგრამების საერთაშორისო დონეზე ცნობადობის გაზრდის მიზნით.
უნივერსიტეტს აქვს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა. გასაუბრების დროს, სტუდენტებმა გამოხატეს მადლიერება უნივერსიტეტის ინდივიდუალური მიდგომის მიმართ, რაც საჭიროებდა რესურსების უფრო დიდ რაოდენობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. უნივერსიტეტის პერსონალი და ადმინისტრაცია კმაყოფილია უნივერსიტეტის მიერ გაცემული ხელფასითა და შეღავათებით. პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი მიუთითებს მის მდგრადობაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საჯარო მმართველობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება უზრუნველყოფილია ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და სამართლის სკოლის ბიუჯეტიდან, რომელიც სანგუ-ს ბიუჯეტის ნაწილია. სამაგისტრო პროგრამა ამჟამად მდგრადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- ინტერვიუები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	x	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	x	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	**x**	☐	☐	☐

პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	**x**	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სანგუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მექანიზმის დოკუმენტზე. შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების მიზანია დაამკვიდროს ხარისხის კულტურა უნივერსიტეტის შიგნით. დოკუმენტი განმარტავს, რომ ხარისხის შეფასება გამიზნულია კვლევისთვის, ანალიზისთვის და რეკომენდაციების შემუშავებისთვის შესაბამისი კვლევითი მეთოდების გამოყენებით. იგი ასევე გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის. უნივერსიტეტს აქვს კიდევ ერთი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამებთან და ჰქვია დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს შიდა ხარისხის სამსახურის პასუხისმგებლობებსა და საქმიანობას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ გამოკითხვის ფორმების, გამოკითხვის შედეგების, შიდა შეფასებისა და ხარისხის მექანიზმის დოკუმენტების ცალ-ცალკე წარდგენა ართულებს ერთიანი შიდა ხარისხის სისტემის ეფექტურ გაგებასა და მართვას. შესაბამისად, სანგუ-სთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. ეს დოკუმენტი გააერთიანებს შიდა ხარისხის ყველა საქმიანობას, თავიდან აიცილებს საქმიანობის სფეროების გადაფარვის და იქნება ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო გზამკვლევი.

განხილული დოკუმენტებისა და გასაუბრებების საფუძველზე ცხადია, რომ სანგუ-ს რექტორმა გამოსცა ბრძანება ორივე პროგრამაზე სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ. ბრძანებები განსაზღვრავს, რომ თითოეულმა საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა გაიაროს ცალკეული თვითშეფასება და შეიქმნას ცალ-ცალკე დარგობრივი საბჭოები. მოცემულ დოკუმენტაციაში ჯგუფმა იპოვა ოქმები ბიზნესის ადმინისტრირებისა და საჯარო მმართველობის პროგრამების სამუშაო ჯგუფებისთვის. ზემოხსენებული ოქმებიდან მხოლოდ ერთი მიუთითებს იმაზე, რომ სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებიც მხოლოდ პროგრამის პერსონალისა და ადმინისტრაციისგან შედგებოდა, შეხვდნენ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. შესაბამისად, დოკუმენტებიდან ნათელია, რომ ეს სტუდენტები არ წარმოადგენენ დარგობრივი საბჭოს წევრებს. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის მიხედვით, აუცილებელია, რომ სანგუ-მ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები პირდაპირ ჩართოს თვითშეფასების პროცესში. მიუხედავად მათი სადაო პოზიციებისა, გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ მათი ხმები არ იყო წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების

პროცესში. აღნიშნულს თვითშეფასების ანგარიში მეტად ინკლუზიური და კრიტიკულად გააზრებული შეეძლო გაეხადა.
ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა კიდევ ერთი საკითხი, რომლის გადაჭრაზეც უნდა კონცენტრირდეს უნივერსიტეტი: შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისსა და პროგრამის განმახორციელებელ გუნდს შორის თანამშრომლობა. გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ მიუხედავად გარკვეული აზრთა სხვაობისა, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა არ გაითვალისწინა შიდა ხარისხის სამსახურის ზოგიერთი კრიტიკული პოზიცია. ამავე დროს, თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, რომლებიც სანგუმ თვითშეფასების ანგარიშში წარმოადგინა, კარგად არ იყო ცნობილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხებს და დაადგინოს უფრო მკაფიო პროტოკოლები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციისა და მკაფიო მოლოდინებისთვის.
დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ PDCA ციკლი კვლავ გამოწვევად რჩება. კერძოდ, პრობლემებია ციკლის „შეამოწმე“ და „იმოქმედე“ ეტაპებზე. აღნიშნულ პრობლემას ხაზი გაუსვა როგორც სანგუს ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ასევე შიდა ხარისხის სამსახურის წევრებმა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სანგუ-მ უნდა გააუმჯობესოს შიდა ხარისხის სამსახური დამატებითი ადამიანური რესურსებით, რათა უზრუნველყოს PDCA ციკლის ეფექტურად და შედეგიანად განხორციელება.
დაბოლოს, აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სანგუმ და მისმა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისმა უნდა განავითარონ მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადაპტირებისთვის, რათა შეძლონ ელექტრონული სწავლებისა და დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები (როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე ფაკულტეტის/სკოლის) შედეგების შეფასების და ამ შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების შედეგები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განვითარების ოქმები;
- გასაუბრებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. (5.1)
- რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე ციკლში საფუძვლიანად და პერიოდულად ხორციელდებოდეს შემოწმების და მოქმედების კომპონენტები. (5.1)
- რეკომენდებულია, შემუშავდეს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის და შეფასების შიდა ხარისხის მექანიზმები. (5.1)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, სანგუ - მ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკის ყოვლისმომცველი დოკუმენტი. (5.1)
- სასურველია, სანგუ - მ გააძლიეროს თავისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამატებითი ადამიანური რესურსებით დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე ციკლის დროულად დასასრულებლად. (5.1)

შეფასება

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება				
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	x	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	x	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სანგუ-ს მიერ კლასტერული აკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამები იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს. ამ მხრივ საყურადღებოა ორი ძირითადი კომპონენტი. პირველი არის ცხრილი, რომელიც ასახავს აკრედიტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებას; მეორე არის გარე შეფასების დოკუმენტი.

პირველ რიგში, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ განიხილა აკრედიტაციის დროს მიღებული რვა რეკომენდაცია და ცხრა რჩევა. ეს რეკომენდაციები და რჩევები ძირითადად ეხებოდა პროგრამის სტრუქტურას, შინაარსსა და ინდივიდუალურ სილაბუსებს. ექვსივე რეკომენდაცია საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, ინდივიდუალურ სასწავლო კურსებთან და აკადემიური პერსონალის ზრდის საჭიროებასთან.

მეორე მხრივ, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები გადიან გარე კოლეგიალურ შეფასებებს. რუმინელმა პროფესორმა მირელა პანაიტიმ და საქკაბელის ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარემ ედიშერ მამალაძემ ჩაატარეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება. ამასთან, თსუ-ს იურიდიული

მეცნიერებების დოქტორმა ნანა ჭიღლაძემ შეაფასა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა. თუმცა, გასაკვირია, რომ თვითშეფასების ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი ეს გარე შეფასება და არ მოიცვა იგი, რაც ექსპერტთა ჯგუფისთვის გაურკვეველია.
აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამებს აქვთ გარე კოლეგიალური შეფასებები, მათი ჩატარების პროცესი გაუგებარია, შეზღუდული გამჭვირვალობითა და თანმიმდევრულობით. გამჭვირვალობის ნაკლებობა გამოწვეულია ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლების მინიმალური მონაწილეობით. ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ, რომ ეს დარეგულირდეს გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შეფასება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის გარე შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები (აკრედიტაცია)
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასების პროცესი იყოს უფრო სისტემური და რეგულარული და პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყვნენ მის დაგეგმვაში. (5.2)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	X	☐	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სანგუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიდან და ინტერვიუებიდან მიღებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები გადის მონიტორინგს და პერიოდულ გადახედვას. ეს პროცესი ინკლუზიურია და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით მიმდინარეობს, რაც მხარდაჭერილია ხარისხის შეფასების კითხვარებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს პროცედურა ყოველთვის ვერ მოიცავს ყველა საკითხს, რომელიც აუცილებელია პროგრამის მოდიფიცირებისა და განახლებისათვის. კერძოდ, ორივე აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, განხორციელებული ცვლილებების ძირითადი საფუძველი იყო გარე სავალდებულო შეფასება და არა გამოკითხვის შედეგები. რეაკრედიტაციისთვის წარდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში ერთადერთი ცვლილება განხორციელდა დაინტერესებული პირების გამოკითხვით. ეს არ მიუთითებს მოცემული პროცესის რეგულარობაზე, რასაც ნათლად აჩვენებს ჩატარებული ინტერვიუები.

გარდა ამისა, დოკუმენტებიდან და გასაუბრებებიდან ჩანს, რომ სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს აფასებენ სასწავლო კურსებს და ლექტორს. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაადასტურა, რომ იგივე დონის შეფასება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და სამეცნიერო კომპონენტზე. მათმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, გამოასწორონ ეს საკითხი, რაც პოზიტიური ნაბიჯია უფრო ყოვლისმომცველი შეფასების პროცესისკენ.

საორიენტაციო კვლევის (benchmarking) დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, მნიშვნელოვანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გასაზიარებლად. თუმცა, რთულია მისი რეგულარობის დადგენა, რადგან აღმოჩნდა, რომ იგი მომზადდა ზუსტად ხელახალი აკრედიტაციის პროცესის წინ.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ხდება კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება, მათ მაინც სჭირდებათ სრულად დანერგვა, რაც აუცილებელია აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით. უფრო ზუსტად, პროგრამების ეფექტურობის შეფასება მოითხოვს კომპლექსურ ინდიკატორებსა და სიახლეებთან ადაპტაციას. ექსპერტთა ჯგუფის ინფორმაციით, ამ მიმართულებით სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა. ესენია:

- ერთ-ერთი მთავარი საკითხია საბაკალავრო პროგრამისთვის 240 კრედიტიდან 180 კრედიტზე გადასვლა. ეს გადასვლა მნიშვნელოვანია, რადგან ის გავლენას ახდენს მოქმედი სტუდენტებისთვის გარკვეული კრედიტების აღიარებაზე. კონკრეტული და მკაფიო გეგმის არარსებობა ამ აღიარებასთან დაკავშირებით შეშფოთების მნიშვნელოვანი საფუძველია. ეს მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და სასწავლო გეგმების მატრიცის არარსებობას, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სავალდებულოდ მიიჩნევს პროგრამის მონიტორინგის მიზნებისთვის.
- მეორე, აუცილებელია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისმა მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ინსტრუქციები და რეკომენდაციები პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების შესახებ თავის დასკვნებში. ეს არსებითია პროგრამის მონიტორინგის, პერიოდული შეფასების და ხელახალი აკრედიტაციისთვის მოსამზადებლად.
- მესამე, ხელახალი აკრედიტაციისთვის წარდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებს უნდა ჰქონდეთ სწავლის შედეგების შეფასების, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისა და პერიოდული შეფასების ინდივიდუალური სისტემა. აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით, ეს არის სავალდებულო პირობა, რომელიც მოითხოვს ყოვლისმომცველ ინდიკატორებს პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად.

რამდენიმე შეშფოთების მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დროს სანგუ-ს წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა განიხილონ და გამოასწორონ ეს საკითხები. ეს პოზიცია ექსპერტთა ჯგუფს ოპტიმისტურად განაწყობს, რომ რეკომენდაციები დროულად (დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში) განხორციელდება და ხელს შეუწყობს სანგუ-ს განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შეფასება;
- პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების შედეგები;
- შიდა და გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო -კვლევითი კომპონენტის განხორციელების და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. (5.3)
- რეკომენდებულია, სანგუ - მ შეიმუშაოს მკაფიო და გამჭვირვალე გეგმა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმართვისთვის, როდესაც ისინი გადავლენ 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან 180 კრედიტიან პროგრამებზე. (5.3)
- რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მიზნით ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, პერიოდული შეფასებების და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. (5.3)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, სანგუ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება მოიცავდეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს. (5.3)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	x	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	☐	**x**	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება" (180 კრედიტი)
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "საჯარო მმართველობა" (120 კრედიტი)

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე- 7 დონე	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ევგენია ბუსმაჩიუ
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ნინო ფარსადანიშვილი
მარიამ ბურმისტროვა
ეკატერინე ნაცვლიშვილი
სანდრო ტაბატაძე